პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

კვირა, 21 იანვარი, 1951 წ. № 18 (8872). ფასი 20 კაპ.

დღეს ჩვენი ქვეყნის ხალხი, მთელი მსოფლიოს მშრომელები აღნიშნავენ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლისა და ხელმძღვანელის, ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის—დიდი ლენინის გარდაცვალების 27 წლისთავს.

განვლილი ოცდაშვიდი წელი ლენინიზმის ზეიმის წლებია. ბოლშევიკური პარტიის, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი განუხრელად ასრულებს ლენინის ანდერძს, წარმატებით აშენებს კომუნიზმს.

გაუმარჯოს ლენინის საქმის გენიალურ განმგრძობს, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს დიდ სტალინს!

გაუმარჯოს ლენინიზმს მთელ მსოფლიოში!

## დიდი ლენინის დროშით

დღეს შესრულდა 27 წელი, რაც გარდაიცვალა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი — მარქსისა და ენგელსის საქმის გენიალური განმგრძობი, ბოლშევიკური პარტიის ორგანიზატორი და ბელადი, საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებელი და ხელმძღვანელი.

განვლილი ოცდაშვიდი წლის მანძილზე საბჭოთა ხალხი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგ სტალინის ბრძნული წინამძღოლობით მტკიცედ მიდიოდა ლენინის მიერ ნაჩვენები გზით, განუხრელად ასრულებდა ლენინის ანდერძს. სწორედ ამის შედეგია, რომ საბჭოთა ხალხი ახალ-ახალ გამარჯვებას აღწევს მშრომელთა ბედნიერი და სამური ცხოვრების დამკვიდრებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ხალხის უდიდესი ისტორიული გამარჯვებაა მსოფლიოში პირველი სოციალისტური საზოგადოების აგება, რასაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენი ქვეყნის მშრომელებისათვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვის. სოციალიზმის აგების ჩვენს შესანიშნავ გამოცდილებას ახლა უკვე წარმატებით იყენებს მრავალი სხვა ქვეყნის ხალხი. უეჭველია, რომ რაც მეტი დრო გავა, იმ ხალხთა რიცხვი, რომლებიც ჩვენს მიერ გაკაფულ გზას დაადგებიან, სულ უფრო გაიზრდება.

საბჭოთა ხალხის უდიდესი ისტორიული გამარჯვებაა კაპიტალისტების, მემამულეების, კულაკების, საერთოდ ყველა პარაზიტული კლასის ლიკვიდაცია, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრისა და ექსპლოატაციის მოსპობა და სრულიად ახალი საზოგადოების აშენება, სადაც მუშები, გლეხები, ინტელიგენცია ძმური მეგობრობის, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთდახმარების ვითარებაში ცხოვრობენ და შრომობენ თავიანთი თავისათვის, სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

საბჭოთა ხალხის უდიდესი ისტორიული გამარჯვებაა ჩვენს ქვეყანაში ეროვნული ჩაგვრისა და ეროვნული შუღლის მოსპობა, ერთა შორის ურღვევი სტალინური მეგობრობის დამკვიდრება, ახალი სოციალისტური ერების შექმნა, მათი ფორმით ეროვნული და შინაარსით ინტერნაციონალური კულტურის აყვავება.

საბჭოთა ხალხის უდიდესი ისტორიული გამარჯვებაა უმოკლეს ვადაში ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განხორციელება, ურომლისოდაც ჩვენ ვერ შევინარჩუნებდით ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარს, საფრთხეს შევუქმნიდით ჩვენი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, ვერ მოვიშორებდით საუკუნეობრივი ჩამორჩენილობის სამოსელს, ვერ გადავიყვანდით სოფლის მეურნეობას კოლექტივიზაციის რელსებზე.

საბჭოთა ხალხის უდიდესი ისტორიული გამარჯვებაა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა, მისი კოლექტივიზაცია, რამაც გადაწყვიტა პროლეტარული რევოლუციის ერთ-ერთი უძნელესი და ურთულესი საკითხი — სოფლად ძველი, ბურჟუაზიული წყობის ლიკვიდაციისა და ახალი, სოციალისტური წყობის გამარჯვების საკითხი, გლეხთა მრავალმილიონიანი მასების გარდაქმნის, სოციალისტურ მშენებლობაში მათი ჩაბმის საკითხი, სოციალისტური ინდუსტრიისათვის მტკიცე, სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო ბაზის შექმნის საკითხი.

საბჭოთა ხალხის უდიდესი ისტორიული გამარჯვებაა ჩვენს ქვეყანაში კულტურული რევოლუციის განხორციელება, მუშათა და გლეხთა მასებში ცოდნისა და განათლების შეტანა, მთელი ხალხის შეგნებულობის დონის მკვეთრი ამაღლება, მშრომელთა წრიდან გამოსული ახალი, საბჭოთა ინტელიგენციის შექმნა, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის უმაგალითო განვითარება, რომლებიც აჩქარებენ ჩვენს წინსვლას.

საბჭოთა ხალხის უდიდესი ისტორიული გამარჯვებაა მძლავრი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა. ჩვენი სახელმწიფო წარმართავს მშრომელთა მთელ საქმიანობას, განუხრელად იცავს მათ ინტერესებს, ხელმძღვანელობს კომუნიზმის მშენებლობას. ჩვენი სახელმწიფო არა მარტო საბჭოთა ხალხის, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელთა იმედი და დასაყრდენია.

საბჭოთა ხალხის უდიდესი ისტორიული გამარჯვებაა დიდ სამამულო ომში მსოფლიო რეაქციის მთავარი ძალების — გერმანიის ფაშიზმისა და იაპონიის იმპერიალიზმის განადგურება. ამით ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა არა მარტო დაიცვეს თავიანთი სამშობლო, თავიანთი დიადი მონაპოვარნი, არამედ, ამავე დროს, შექმნეს უაღრესად ხელსაყრელი პირობები იმპერიალიზმის უღლისაგან დასავლეთისა და აღმოსავლეთის მრავალი ხალხის განთავისუფლებისათვის. ეს პირობები, როგორც ვიცით, კარგად გამოიყენეს პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, რუმინეთის, ჩინეთისა და სხვა ქვეყნების მშრომელებმა, რომლებიც საბჭოთა კავშირის დახმარებით მტკიცედ დაადგნენ სოციალიზმის გზას.

საბჭოთა ხალხის უდიდესი ისტორიული გამარჯვებაა ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის უმოკლეს ვადაში აღდგენა და მისი შემდგომი მძლავრი განვითარება, ახალი ხუთწლიანი გეგმის დავალებათა არა მარტო მთლიანად, არამედ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულება. შექმნილია მეურნეობისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობის პირობები, წარმატებით სრულდება ბუნების გარდაქმნის გრანდიოზული სტალინური გეგმა, საფუძველი ჩაეყარა კომუნიზმის დიად მშენებლობებს — კუიბიშევის, სტალინგრადის, კახოვკის გიგანტურ ჰიდროელექტროსადგურებს, თურქმენეთის მთავარ არხს, სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხებს, მთავრდება ვოლგა-დონის დიდი სანაოსნო არხის აგება. ჩვენი ქვეყანა განუხრელად მიდის წინ, კომუნიზმისაკენ.

ჩვენი ქვეყნის ყველა ეს ისტორიული გამარჯვება განუყრელად დაკავშირებულია დიდი ლენინის სახელთან, მისი საქმის გენიალური განმგრძობის—დიდი სტალინის სახელთან.

ლენინმა და სტალინმა ახალ ისტორიულ ეპოქაში, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში განავითარეს, გააღრმავეს, მაღალ საფეხურზე აიყვანეს მუშათა კლასის განთავისუფლების მოძღვრება — მარქსიზმი.

ლენინმა და სტალინმა შექმნეს ახალი ტიპის პარტია, ბოლშევიკური პარტია, რომლის ბადალიც თავისი იდეური და ორგანიზაციული წრთობით, თავისი გამოცდილებით, თავისი უნარით — წინ წაუძღვეს მუშათა კლასსა და ყველა მშრომელს, მსოფლიოში არ არსებობს.

ლენინი და სტალინი არიან ორგანიზატორები და ბელადები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა, რომელიც მობრუნების პუნქტს წარმოადგენს კაცობრიობის ისტორიაში და საფუძველია ყველა ჩვენი შემდგომი ისტორიული გამარჯვებისა.

ლენინი და სტალინი არიან საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელნი, შინაური და გარეშე მტრებისაგან მისი დაცვის ორგანიზატორები, მისი საგარეო და საშინაო პოლიტიკის შემმუშავებელნი, მისი ყველა წარმატების შემოქმედნი.

ლენინის გარდაცვალების შემდეგ ამხანაგი სტალინი უდგას სათავეში ჩვენს სახელმწიფოს, ჩვენს პარტიას, ახალ ვითარებასთან შეფარდებით ავითარებს და ამდიდრებს მარქსიზმ-ლენინიზმს.

ამხანაგმა სტალინმა ლენინის სახელმძღვანელო დებულებათა საფუძველზე შეიმუშავა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების მწყობრი თეორია და პოლიტიკა, რაც მისივე მეთაურობით ბრწყინვალედ განხორციელდა.

ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის თეორია და პოლიტიკა, რაც მისივე მეთაურობით ბრწყინვალედ განხორციელდა.

ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა იმპერიალისტური ქვეყნების თავდასხმისაგან ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ბრძნული თეორია და პოლიტიკა, რამაც უზრუნველყო საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვება დიდ სამამულო ომში და ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლება.

ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის ბრძნული თეორია და პოლიტიკა, რაც ახლა მისივე მეთაურობით ასე ბრწყინვალედ ხორციელდება.

ამხანაგი სტალინი ავითარებს ლენინიზმს ყველა მიმართულებით. გასულ წელს გამოქვეყნებული მისი გენიალური ნაშრომები ენათმეცნიერების საკითხებზე უდიდესი განძია ლენინიზმის საუნჯეში. ეს ნაშრომები ხელს უწყობენ არა მარტო ენათმეცნიერების, არამედ მეცნიერების ყველა დარგის, მთელი საბჭოთა კულტურის ახალ, მძლავრ აღმავლობას.

ლენინ-სტალინის იდეები სულ უფრო ფართოდ ვრცელდება მთელ მსოფლიოში, სულ უფრო მეტად ეუფლება მასებს, რომლებიც ისტორიის ბედილბალს წყვეტენ. ეს იდეები გამარჯვებას ზეიმობენ ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, დიდ ჩინეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ამ ქვეყნებმა მოკლე ხანში მოიშუშეს ომით მიყენებული ჭრილობები და მეურნეობისა და კულტურის სწრაფი განვითარების გზაზე დადგნენ. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ამ ქვეყნების მშრომელები, რომლებმაც მოიშორეს იმპერიალისტთა უღელი, დიდი წარმატებით აშენებენ თავიანთ თავისუფალ, ბედნიერ, სოციალისტურ ცხოვრებას.

როგორ არა ჰგავს ყოველივე ეს იმას, რაც ხდება იმპერიალისტურ ბანაკში! ერთი მხრივ, ხალხთა მასების სილატაკისა და გაჭირვების უწყვეტი ზრდა, უმუშევართა მზარდი არმია, ხვალინდელი დღის ურწმენობა, მეორე მხრივ, საომარი ისტერიის, ომის მზადების გაძლიერება, პირდაპირი აგრესია კორეელი ხალხის წინააღმდეგ, ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების ცდა, — აი რით ხასიათდება ამერიკის, ინგლისისა და მათ მორჩილებაში მყოფი ქვეყნების მდგომარეობა. ამერიკელი იმპერიალისტები, რომლებიც ახლა ყველა ქვეყნის რეაქციონერთა მთავარი დასაყრდენი გახდნენ, კარგად გრძნობენ, რომ მომავალი მათ კარგს არაფერს უქადის. ამიტომ ცდილობენ ისინი გააჩაღონ ახალი მსოფლიო ომი საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, შეაჩერონ სოციალიზმისა და დემოკრატიის ძალების ზრდა, უკუღმა შეატრიალონ ისტორიის ჩარხი. მაგრამ ისინი ამას ვერ შეძლებენ. მძლავრია მშვიდობისა და დემოკრატიის საერთაშორისო ბანაკი, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს და დიდი სტალინი ხელმძღვანელობს. ამიტომაც იმპერიალისტთა ვერაგულ ზრახვებს განხორციელება არ უწერიათ.

ჩვენ რწმენით და იმედით შევყურებთ მომავალს. ჩვენ ვაშენებთ კომუნიზმს ლენინის დროშით, დიდი სტალინის წინამძღოლობით. ჩვენ მუდამ გვახსოვს ლენინისა და სტალინის მითითება, რომ თავბრუ არ დაგვახვიოს წარმატებებმა, რომ საჭიროა მუდამ წინ ვიყურებოდეთ, ვამჟღავნებდეთ და ვასწორებდეთ ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებებს, რომ თვითკრიტიკა ბოლშევიზმის არსენალში აუცილებელი და მუდმივმოქმედი იარაღია, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია ბოლშევიზმის თვით ბუნებასთან, მის რევოლუციურ სულთან.

ლენინი გვასწავლის:

„ყველა რევოლუციური პარტიები, რომლებიც აქამდე იღუპებოდნენ, — იღუპებოდნენ იმის გამო, რომ გამედიდურდებოდნენ ხოლმე და ვერ ხედავდნენ, თუ რა შეადგენდა მათს ძალას, და ეშინოდათ ელაპარაკნათ თავიანთ სუსტ მხარეებზე. ჩვენ კი არ დავიღუპებით იმიტომ, რომ არ გვეშინია ჩვენს სუსტ მხარეებზე ლაპარაკისა, და ვისწავლით ამ სუსტ მხარეთა დაძლევას".

ჩვენი პარტია, ჩვენი ხალხი დიდი სტალინის წინამძღოლობით განუხრელად ასრულებენ დიდი ლენინის ამ მითითებას.

ლენინ-სტალინის იდეების საფუძველზე მასების კომუნისტური აღზრდის გაძლიერება ჩვენი წინსვლის დაჩქარების აუცილებელი პირობაა. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ლენინისა და სტალინის თხზულებათა ქართულ გამოცემას, რაც წარმატებით მიმდინარეობს. ქართულ ენაზე უკვე გამოცემულია ლენინის თხზულებათა 15 ტომი და სტალინის თხზულებათა 12 ტომი. ეს უსათუოდ ხელს შეუწყობს ლენინიზმის იდეებით ჩვენი კადრების შეიარაღებას, მასების კომუნისტური აღზრდის გაძლიერებას. ეს უსათუოდ ხელს შეუწყობს ახალ წარმატებათა მოპოვებას კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

გაუმარჯოს ლენინიზმს!

გაუმარჯოს ლენინის საქმის დიდ განმგრძობს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს!

ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით—წინ, კომუნიზმისაკენ!



## 21 იანვარი

ამ დღეს მოსკოვი
კვლავ გვახსენებს მწუხარე ამბავს
და ისმის ქვეყნად
თითქოს ერთი სუნთქვა გაბმული, —
დიდი თეატრის
გაბრწყინვებულ, გაჭედილ დარბაზს
მიაპყრობს თვალყურს
დედა-მიწა სულგანაბული.

ამ დღეს ქვეყანა
კვლავ იხსენებს მწუხარე ამბავს,
გამარჯვებული,
გმირულ ხალხის მამულ-დედული;
ამ დღეს ჩინეთის
ომგადახდილ, თოვლიან მთა-ბარს
საყვარელ ლენინს
მოაგონებს მაო ძე-დუნი.

ამ დღეს გმირული
კიმ ირ-სენის მამული მთელი,
მტრის ცეცხლის ალით
გადამწვარი, ფერფლად ქცეული
სანგრების წყალში
მოიგონებს ვლადიმერ ლენინს...
სალუტის ბათქით
გაანათებს ზეცას სეული.

ამ დღეს გროტევოლს
გამოუხმობს ბერლინი მშვიდი, —
ლენინის სიბრძნით
აივსება ზეცა ბერლინის;
ამ დღეს უეცრად
გარინდდება ვარშავა დიდი, —
ბერუტის ხმაში
იღაღადებს სიტყვა ლენინის.

ამ დღეს — ქვეყანას
რომ აშორდეს კვლავ ცეცხლის ალი,
მოშორდნენ ერებს
ომის ახალ ცეცხლის გამჩენნი,
რომს ტოლიატი
მოაგონებს ლენინს და სტალინს,
პარიზს — მოხუცი
ღვაწლმოსილი მარსელ კაშენი.

ამ დღეს საბჭოეთს
შემოჰხედავს მსოფლიო მთელი,
მოსკოვს, ლენინგრადს,
განათებულ თბილისს და ტალინს;
ამ დღეს მსოფლიო
მოიგონებს ვლადიმერ ლენინს,
ამ დღეს მსოფლიო
თვალს მიაპყრობს იოსებ სტალინს.

ირაკლი აბაშიძე

## აქ ცხოვრობდა ვ. ი. ლენინი

### სახლი-მუზეუმი ქალაქ კოსტინოში

სადგურ ბოლშევოს ბაქანს ეკვრის ფართო გზატკეცილი, რომელიც მიემართება მოსკოვის ახლო მდებარე ქალაქ კოსტინოსაკენ, სადაც ცხოვრობდა დიდი ლენინი.

ოცდაათი წლის წინათ სოფელ კოსტინოში იყო ოცდაათიოდე სახლი. ახლა კოსტინო ქალაქია. აქ არის მანქანათმშენებლობის ქარხანა და სხვა საწარმოები, სკოლები, ტექნიკუმი, საავადმყოფო, პოლიკლინიკა, უნივერმაღი, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები.

სახლი, რომელშიც ცხოვრობდა და ისვენებდა ვ. ი. ლენინი, ჰგავს ჩვეულებრივ აგარაკს, როგორიც ძალიან ბევრია მოსკოვის წარმტაც არემარეში. სახლის შესავალთან პატარა დაფაა, რომელზეც ამოჭრილია სიტყვები: „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ცხოვრობდა და მუშაობდა ამ სახლში 1921 წ. დეკემბერში და 1922 წ. იანვარში".

ბინის წინა ოთახი პატარაა. აქედან ერთი კარი შედის კაბინეტში. იქ საწერი მაგიდაა, ხოლო კუთხეში დიდი საათი. დგას უბრალოდ მოწნული ავეჯი. ასეთი უბრალო მორთულობაა გვერდით სასადილო ოთახშიც: მუშამბით გადაფარებული მოგრძო მაგიდა, ოთხი ვენური სკამი და დიდი დივანი. საწოლი ოთახი, სადაც პატარა საწერ მაგიდასთან უყვარდა მუშაობა ილიჩს, რადგან იქ უფრო თბილოდა, ასევე სადად არის მორთული.

კოსტინოში ლენინი მუშაობდა თავის ფილოსოფიურ სტატიაზე — „მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობა". აქედან დადიოდა ის სრულიად რუსეთის საბჭოების IX ყრილობაზე.

სახლის მეორე ნახევარში გამოფენილია მუზეუმის ექსპონატები, რომლებიც მიძღვნილია ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობისადმი. ეს დოკუმენტები აღადგენენ მეხსიერებაში რევოლუციის გენიოსის შესანიშნავ ცხოვრებას. ყურადღებას იქცევს ფარი, რომელზეც წარწერილია ამხანაგ ი. ბ. სტალინის სიტყვები:

„გახსოვდეთ, გიყვარდეთ, შეისწავლეთ ილიჩი, ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი ბელადი.

ებრძოლეთ მტრებს, შინაურ და გარეშე მტრებს, დასძლიეთ ისინი,—ილიჩისებურად.

აშენეთ ახალი ცხოვრება, ახალი ყოფა, ახალი კულტურა, — ილიჩისებურად".

ლენინის სახლი ქ. კოსტინოში ფართოდ არის ცნობილი ჩვენი ხალხისათვის. 15.000-ზე მეტმა კაცმა ინახულა გასულ წელს სახლი-მუზეუმი.

**1951 წლის 25 იანვარს, საღამოს 8 საათზე, ძერჟინსკის სახელობის კლუბში (ბესიკის ქ. № 4) გაიხსნება**

**საქართველოს კომკავშირის XVIII ყრილობა.**

ყრილობის დელეგატთა რეგისტრაცია იწარმოებს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის შენობაში (ძერჟინსკის ქ. № 8) 24 იანვარს დილის 10 საათიდან 24 საათამდე, 25 იანვარს დილის 10 საათიდან დღის 12 საათამდე. ტელეფონი 3-66-33.

ქალაქ ლენინგრადის კიროვის საარჩევნო ოლქი

# ხმას მივცემთ ხალხის ბედნიერების შემოქმედს!

## მშრომელთა წარმომადგენლების საოლქო წინასაარჩევნო კრებაზე

**ლენინგრადი,** 19 იანვარი. (საკდესი). სიამაყის გრძნობით, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და მადლიერების გრძნობით აღსავსეა კიროველთა გული. ნარვის გარეუბნის ადამიანთა მაღალი პატრიოტული გრძნობების, ერთსულოვნების მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენდა კიროვის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების დღევანდელი საოლქო წინასაარჩევნო კრება, მიძღვნილი ამხანაგ ი. ბ. სტალინის თანხმობისადმი — კენჭი იყაროს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე.

სადღესასწაულოდ მორთულია გორკის სახელობის კულტურის სასახლის დიდებული შენობა. მის ფასადზეა ამხანაგ ი. ბ. სტალინის დიდი პორტრეტი. ბრწყინავს სიტყვები: „დიდება დიდ სტალინს!“

მაყურებელთა დიდ დარბაზში სამი ათასამდე კაცი შეიკრიბა. აქ არიან კიროვის ქარხნის სახელოვანი კოლექტივის წარმომადგენლები, მანქანათმშენებლები და ხავსადგურის მუშები, ფეიქრები და მშენებლები, მეცნიერებისა და კულტურის ადამიანები. ისინი ყველანი გაერთიანებული არიან დიდი ბედნიერებით, ყველას ანათესავებს დიადი და მახლობელი სახელი — სტალინი.

ხსნის რა კრებას, საკავშირო კ. პ. (ბ) კიროვის რაიკომის მდივანი ამხ. ი. კ. ზამჩევსკი ამბობს:

— ძვირფასო ამხანაგებო! სასიხარულო და აღმაფრთოვანებელია ეს დღეები. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდი ბელადი, ჩვენი ქვეყნის ბრძენი მესაჭე, მშობლიური და საყვარელი ამხანაგი სტალინი დათანხმდა რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ჩვენს კიროვის საარჩევნო ოლქში.

დამსწრენი აღფრთოვანებული ოვაციით უპასუხებენ ამ სიტყვებს. ყველა ფეხზე დგება და დიდხანს გრიალებს ტაში. გაისმის მისალმების შეძახილები ამხანაგ ი. ბ. სტალინის პატივსაცემად.

საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღფრთოვანებით ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით. რამდენიმე წუთს გრძელდება ოვაცია. იგი ახალი ძალით ქუხს, როცა ამხანაგ ი. ბ. სტალინს ერთსულოვნად ირჩევენ კრების საპატიო თავმჯდომარედ.

პირველი გამოდის კიროვის ქარხნის კონსტრუქტორი, სტალინური პრემიის ლაურეატი ამხ. ნ. მ. სინევი.

**ამხ. ნ. მ. სინევის სიტყვიდან**

ამხანაგებო! ამ აღმაფრთოვანებელ და სასიხარულო დღეებში ჩვენ ყველანი, საბჭოთა ადამიანები, განსაკუთრებული ძალით ვგრძნობთ განუყრელ კავშირს ჩვენს დიად ლენინურ-სტალინურ პარტიასთან, საყვარელ მამასა და მეგობართან, საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის გენიალურ მასწავლებელთან და ბელადთან — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინთან. **(მქუხარე ოვაცია).**

მეცნიერული კომუნიზმის შემოქმედთა დიადი მოძღვრება, ლენინ-სტალინის იდეები გვინათებენ გზას კომუნიზმისაკენ. ჩვენი ცხოვრების მთელ ბედნიერებას, მთელ სიხარულს ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, უნდა ვუმადლოდეთ ბოლშევიკების პარტიას, მშობლიურ და საყვარელ ამხანაგ სტალინს.

საბჭოთა ხალხს მტკიცედ და ურყევად სწამს კომუნიზმის გამარჯვება, რადგან გამარჯვებისაკენ მიგვყავართ ბოლშევიკების გმირ პარტიას, ჩვენს ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს. **(ტაში).**

საპატიო და პასუხსაგები ამოცანა დაგვისახა ლენინგრადელებს ამხანაგმა სტალინმა — გადავაქციოთ ჩვენი ქალაქი ჩვენი ქვეყნის ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრად. ლენინგრადის ინჟინრები, მეცნიერები და ყველა მშრომელი დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობით ასრულებენ მეცნიერების დიდი კორიფეს — საყვარელი სტალინის ამ დავალებას.

უდიდესი ნდობა, რაც იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა გაგვიწია, აღგვაფრთოვანებს ახალი შემოქმედებითი და შრომითი გმირული საქმეების შესასრულებლად ჩვენი მშვენიერი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, ნათელი მომავლის — კომუნიზმისათვის.

მოგიწოდებთ, ძვირფასო ამხანაგებო, 18 თებერვალს — რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცეთ ხმა ყველაზე მშობლიურ, უსაზღვროდ ძვირფას ადამიანს, ჩვენს ბელადსა და ბრძენ მასწავლებელს დიდ სტალინს. **(ხანგრძლივი ოვაცია. გაისმის მისალმების შეძახილები ამხანაგ ი. ბ. სტალინის პატივსაცემად).**

გაუმარჯოს მეცნიერების დიდ კორიფეს, ჩვენს მშობლიურ და საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს!

**(რამდენიმე წუთს გრძელდება ოვაცია. განუწყვეტლივ გაისმის შეძახილები: „დიდ სტალინს „ვაშა!“, „მთელ მსოფლიოში მშვიდობის მედროშეს ამხანაგ სტალინს „ვაშა!“).**

* * *

გულში ჩამწვდომ სიტყვას ამბობს მანქანათმშენებელი ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ამხ. ი. გ. პოლუხინი.

— უსაზღვროდ მოხარული და ბედნიერი არიან ახალგაზრდა კიროველები, — ამბობს იგი. — ხალხთა დიდი ბელადი, საბჭოთა ახალგაზრდობის საუკეთესო მეგობარი, ჩვენი ძვირფასი და საყვარელი ამხანაგი სტალინი რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ჩვენი კანდიდატია. **(მქუხარე ოვაცია).**

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი საბჭოთა ახალგაზრდობისათვის ყველაზე მშობლიური, ყველაზე მახლობელი ადამიანია. ჭაბუკთა და ქალიშვილთა გული აღსავსეა თავისი საყვარელი ბელადისადმი უსაზღვრო მადლიერებით.

ბოლშევიკური პარტია, ამხანაგი სტალინი სიყვარულით უნერგავენ ახალგაზრდობას კომუნისტურ მსოფლმხედველობას, მაღალ მორალურ თვისებებს. ამხანაგ სტალინის მზრუნველობის მეოხებით საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდა თაობა იზრდება მხნე, მტკიცე, ხალისიანი. მას აქვს საკუთარი ძალების რწმენა, არ ეშინია სიძნელეებისა და შესწევს მათი გადალახვის უნარი.

18 თებერვალს ახალგაზრდობა ერთსულოვნად მისცემს ხმას დეპუტატობის საყოველთაო-სახალხო კანდიდატს მშობლიურ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს.

ახალგაზრდობის საუკეთესო მეგობარს, მშობლიურ სტალინს „ვაშა“!

ათასობით ადამიანი ერთი გრძნობით გამსჭვალული ადიდებს საყვარელ ბელადს.

ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელი ტრიბუნაზე შეცვალა ძველმა მასწავლებელმა ამხ. ა. დ. დმიტრიევამ.

— სახალხო განათლების განვითარებისათვის პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი სტალინის დაუღალავი ზრუნვის მეოხებით, — ამბობს ამხ. დმიტრიევა, — სრულიად შეიცვალა, ჭეშმარიტად მშვენიერი გახდა ჩვენი სოციალისტური სამშობლო. უმაგალითოდ გაიფურჩქნა საბჭოთა კავშირის ხალხთა ტალანტები. წარმტაცი და ნათელი გზა გაეხსნა საბჭოთა ახალგაზრდობას.

სიტყვა ეძლევა ლენინგრადის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის კაპიტანს ამხ. კ. ვ. კოვალენკოს.

— ამ სასიხარულო დღეებში,— ამბობს იგი, — ბალტიკის გემებზე, რომლებიც ყველა ზღვასა და ოკეანეში დადიან, და ნავსადგურის საწარმოებში უმაგალითო პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობაა. პირობას ვაძლევთ ამხანაგ სტალინს, რომ ჩვენს წვლილს შევიტანთ ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრად ლენინგრადის გადაქცევის საქმეში. არჩევნების დღეს ჩვენ, უკლებლივ ყველანი, ხმას მივცემთ ყველა მშრომელთა დიდ ბელადსა და ბრძენ მასწავლებელს ამხანაგ სტალინს.

— შეუძლებელია სიტყვებით გადმოგცეთ სიხარული, რასაც ყოველი ჩვენგანი განიცდის, — ამბობს კიროვის ქარხნის წარჩინებული ზეინკალინოვატორი ამხ. პ. ა. ზაიჩენკო, — ყველას სურს გადასცეს საყვარელ ბელადს, ძვირფას ამხანაგ სტალინს თავისი გულითადი სალამი, მხურვალე რუსული მადლობა.

უაღრესად გულწრფელ სიტყვას ამბობს დიასახლისი-ამომრჩეველი ამხ. ა. ა. მაკაროვა.

—უდიდესი ბედნიერება გვხვდა წილად. რუსეთის ფედერაციის უმაღლეს საბჭოში ჩვენ ავირჩევთ ჩვენთვის ყველაზე ძვირფას ადამიანს — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს. მადლობა მშობლიურ ამხანაგ სტალინს დიდი ნდობისათვის!

სიტყვას ამბობს კიროვის ქარხნის პარტკომის მდივანი ამხ. პ. ვ. სმირნოვი. იგი ლაპარაკობს ლენინის უკვდავი საქმის გენიალურ განმგრძობზე — დიდ სტალინზე, კიროვის ქარხნის ბოლშევიკების მონოლითურ დარაზმულობაზე ბოლშევიკური პარტიის ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ ი. ბ. სტალინის გარშემო.

კრების მონაწილენი უდიდესი აღფრთოვანებით იღებენ მიმართვას ქალაქ ლენინგრადის კიროვის საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩევლისადმი და მოუწოდებენ მათ ერთსულოვნად მისცენ ხმა მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდ ბელადს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის მედროშეს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს.

ძვირფასი ბელადისადმი უსაზღვრო სიყვარულის აღმაფრთოვანებელ დემონსტრაციად გადაიქცა ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი მისასალმებელი წერილის მიღება. განუწყვეტლივ ქუხდა ტაში. გაისმოდა მძლავრი „ვაშა“, შეძახილები: „გაუმარჯოს საყვარელ სტალინს!“, „დიდება მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის შემოქმედს, მშობლიურ სტალინს!“

## ქალაქ მოსკოვის პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირი

კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში 19 იანვარს გაიმართა ქალაქ მოსკოვის პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირი, რომელიც მიეძღვნა მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობებსა და მტს-ებში დედაქალაქის საწარმოებისა და ორგანიზაციების საშეფო მუშაობას.

მოხსენება გააკეთა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მოსკოვის კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა. (საკდესი).

## საკავშირო პროფსაბჭოს V პლენუმი

19 იანვარს, ოთხი დღის მუშაობის შემდეგ, დაიხურა საკავშირო პროფსაბჭოს V პლენუმი.

უკანასკნელ სხდომაზე პლენუმმა დაამტკიცა დადგენილებანი „1951 წლისათვის კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების შესახებ“ საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. ვ. კუზნეცოვის, „პროფკავშირების კულტურულ დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ საკავშირო პროფსაბჭოს მდივნის ამხ. ნ. ვ. პოპოვას და „პროფკავშირული ორგანოების ანგარიშებისა და არჩევნების მიმდინარეობის შესახებ“ საკავშირო პროფსაბჭოს მდივნის ი. ვ. გორომკინის მოხსენებათა გამო.

პლენუმის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

## დ. გედევანიშვილი — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

40 წელზე მეტია, რაც ამხ. დიმიტრი პანტელეიმონის-ძე გედევანიშვილი მაღალნაყოფიერად მუშაობს სოფლის მეურნეობის დარგში. მისი ხელმძღვანელობით შესწავლილია საქართველოს ნიადაგები, რაც საფუძვლად დაედო სამელიორაციო ღონისძიებებს, სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების ფართოდ დანერგვას, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოსავლიანობის გადიდებას.

პროფესორ დ. გედევანიშვილს დაწერილი და გამოქვეყნებული აქვს 44 მეცნიერული შრომა.

დ. გედევანიშვილის ხელმძღვანელობით და რედაქტორობით ქართულ ენაზე თარგმნილი და გამოქვეყნებულია აკადემიკოს ვილიამსის კაპიტალური ნაშრომი ნიადაგმცოდნეობისა და მიწათმოქმედების საკითხებზე.

წლების მანძილზე გაწეული თავდადებული მუშაობისათვის დ. გედევანიშვილს საბჭოთა მთავრობის მიერ მინიჭებული აქვს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორი ორდენით და მედლებით.

ამ დღეებში საქართველოს ლ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წარდგენის საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს უმაღლესი საატესტაციო კომისიის დადგენილებით დ. პ. გედევანიშვილს დისერტაციის დაუცველად მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაცია

★ ★

რეგისტრაციაში გატარებულია

### ამხ. ა. ე. თოფურიძის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების გულრიფშის რაიონის წებელდის № 308 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ალექსანდრე ეპიფანეს-ძე თოფურიძე, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, 1902 წელს დაბადებული, ქალაქ თბილისის მცხოვრები.

რეგისტრაციაში გატარებულია

### ამხ. რ. ს. შადურის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დმანისის რაიონის ამამლოს № 107 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. როსტომ სიმონის-ძე შადური, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, 1908 წელს დაბადებული, ქალაქ თბილისის მცხოვრები.

რეგისტრაციაში გატარებულია

### ამხ. ვ. გ. ცხოვრებაშვილის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ხაშურის სტალინის № 81 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ვლადიმერ გედევანის-ძე ცხოვრებაშვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, 1905 წელს დაბადებული, ქალაქ თბილისის მცხოვრები.

რეგისტრაციაში გატარებულია

### ამხ. მ. მ. ლელაშვილის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის ტოლსტოის № 18 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. მიხეილ მიხეილის-ძე ლელაშვილი, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, 1910 წელს დაბადებული, ქალაქ თბილისის მცხოვრები.

რეგისტრაციაში გატარებულია

### ამხ. გ. ნ. ჯიბლაძის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის ენგელსის № 26 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. გიორგი ნიკოლოზის-ძე ჯიბლაძე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, 1913 წელს დაბადებული, ქალაქ თბილისის მცხოვრები.

რეგისტრაციაში გატარებულია

### ამხ. ვ. მ. ბაქრაძის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ ქუთაისის ლენინის № 199 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ვალერიან მინას-ძე ბაქრაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და კვების მრეწველობის მინისტრი, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, 1901 წელს დაბადებული, ქალაქ თბილისის მცხოვრები.

რეგისტრაციაში გატარებულია

### ამხ. ვ. ი. ეგნატაშვილის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების გორის რაიონის ატენის № 72 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ვასილ იაკობის-ძე ეგნატაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, 1888 წელს დაბადებული, ქალაქ თბილისის მცხოვრები.

რეგისტრაციაში გატარებულია

### ამხ. ე. ი. ჩერქეზიას კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის ტელმანის № 10 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ევტიხი ილარიონის-ძე ჩერქეზია, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, 1899 წელს დაბადებული, ქალაქ თბილისის მცხოვრები.

რეგისტრაციაში გატარებულია

### ამხ. თ. ნ. ქვლივიძის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის 300 არაგველის № 49 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. თამარ ნიკოლოზის ასული ქვლივიძე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, 1908 წელს დაბადებული, ქალაქ თბილისის მცხოვრები.

რეგისტრაციაში გატარებულია

### ამხ. კ. ი. ბარიგიანის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების მიქოიანის № 52 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. კარლო ისაკის-ძე ბარიგიანი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინსპექტორი, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, 1905 წელს დაბადებული, ქალაქ მოსკოვის მცხოვრები.

# ვ. ი. ლენინის მეცნიერული წინასწარმეტყველებანი

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ისტორიის მსვლელობის, საზოგადოებრივი მოვლენების განვითარების განჭვრეტას. ლენინი მიგვითითებდა, რომ რეალურია, ფაქტია მხოლოდ მეცნიერული წინასწარმეტყველება, რადგან იგი საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების ცოდნაზეა დამყარებული, ხოლო ისტორიული კანონზომიერების უცოდნელად ყოველგვარი წინასწარმეტყველება არამეცნიერული და, მაშასადამე, არარეალურია. „სასწაულებრივი წინასწარმეტყველება ზღაპარია. — ამბობდა ლენინი, — მაგრამ მეცნიერული წინასწარმეტყველება ფაქტია“. (თხზ., ტ. 27, გვ. 455).

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა პირველებმა აღმოაჩინეს საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონები, მოძღვრება საზოგადოების შესახებ გადააქციეს ნამდვილ მეცნიერებად. მარქსმა და ენგელსმა, შექმნეს რა მეცნიერული წინასწარმეტყველების თეორიული საფუძველი, მოგვცეს საზოგადოებრივი განვითარების განჭვრეტის კლასიკური ნიმუშები. ლენინი აღტაცებული იყო იმით, რომ ისტორიის მსვლელობა ყოველ ნაბიჯზე ადასტურებდა მარქსისა და ენგელსის მეცნიერულ წინასწარმეტყველებას.

ლენინმა და სტალინმა შემდგომ განავითარეს მეცნიერული წინასწარმეტყველების თეორიული საფუძვლები და თავის მხრივ მოგვცეს გენიალური წინასწარმეტყველების განსაცვიფრებელი ნიმუშები.

ისტორიის განვითარების კანონზომიერების ღრმა ცოდნის საფუძველზე, ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ყოველმხრივ გათვალისწინების, აწონ-დაწონვისა და მკაცრი მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ლენინი ათეული წლობით წინასწარ ხედავდა განვითარების მსვლელობას.

ლენინმა იცოდა ურთულეს მოვლენებში უსწრაფესად გარკვევა, ურთიერთ გადახლართულ სოციალურ მოვლენებში, ისტორიულ გარდატეხათა დროს სწორი გზის სწრაფი აღმოჩენა. ლენინის წინასწარმეტყველების ძალა განსაკუთრებული სიცხადით იჩენდა თავს რევოლუციურ აფეთქებათა პერიოდებში. „რევოლუციურ მობრუნებათა დღეებში, — ამბობს ამხანაგი სტალინი,—ის პირდაპირ ჰყვაოდა, გულთმისანი ხდებოდა, წინასწარ ჰვრეტდა კლასების მოძრაობას და რევოლუციის მოსალოდნელ ზიგზაგებს, ისე ხედავდა მათ, როგორც ხელის გულზე“ (თხზ., ტ. 6, გვ. 72).

ისტორიული მსვლელობის მეცნიერულად განჭვრეტას ლენინის მიერ ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის განვითარების, ამ მოძრაობისადმი ხელმძღვანელობის სწორად წარმართვის საქმეში. განვითარების სწორი მეცნიერული გაგება თუ არა, მოსალოდნელი მოვლენების განჭვრეტა თუ არა, შეუძლებელი იქნებოდა სწორი სტრატეგიული ამოცანების დასახვა რევოლუციის ცალკე ეტაპებზე, შეუძლებელი იქნებოდა ყოველი მოსალოდნელი მომენტისათვის ზუსტი, მართებული ტაქტიკის მომარჯვება, უტყუარი, მასების მოთხოვნილებასთან სავსებით შეფარდებული ლოზუნგების წამოყენება, შეუძლებელი იქნებოდა გვქონოდა ნათელი პერსპექტივა და მებრძოლი ოპტიმიზმის თვალით გვეცქირა მომავლისათვის.

„გენიალური შორსმჭვრეტელობა, მოახლოებული ამბების შინაგანი აზრის სწრაფად მიწვდომისა და გამოცნობის უნარი—ეს ლენინის სწორედ ის თვისებაა, რომელიც ეხმარებოდა მას რევოლუციური მოძრაობის მოსახვევებზე დაესახა სწორი სტრატეგია და მოქმედების გარკვეული ხაზი“ (სტალინი, თხზ., ტ. 6, გვ. 75).

მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენებით აღსავსე უკანასკნელი ორმოცდაათი წლის ისტორია ნათლად გვიჩვენებს, თუ რა ზუსტად სრულდებოდა და სრულდება ლენინის მეცნიერული წინასწარმეტყველებანი.

მუშათა საერთაშორისო მოძრაობისა და რუსეთის რევოლუციური განვითარების ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ლენინმა გენიალურად იწინასწარმეტყველა, რომ რევოლუციური მოძრაობის ცენტრი რუსეთში გადმოდიოდა. მან დარწმუნებით იცოდა, რომ ისტორიის მთელ მსვლელობას რუსეთის მუშათა კლასი გამოჰყავდა საერთაშორისო მოძრაობის მოწინავე პოზიციებზე და რომ რუსეთის მუშათა კლასი, დაამხობდა რა მეფის თვითმპყრობელობას, საერთაშორისო პროლეტარიატის ავანგარდი გახდებოდა. ჯერ კიდევ 1902 წელს თავის განთქმულ წიგნში „რა ვაკეთოთ?“ ლენინი წერდა, რომ მოვლენების განვითარება „რუსეთის პროლეტარიატს საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის ავანგარდად გახდიდა“ (თხზ. ტ. 5, გვ. 465).

მსოფლიო ისტორიის განვითარებამ დაგვანახვა, რომ რუსეთი მართლაც გახდა საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ცენტრი, ხოლო რუსეთის მუშათა კლასი მსოფლიო პროლეტარიატის ავანგარდი. მან პირველმა განახორციელა სოციალისტური რევოლუცია და დასაბამი მისცა საზოგადოებრივი განვითარების ახალ ეპოქას, სოციალიზმის ეპოქას.

ამრიგად „რუსეთის რევოლუციის მსვლელობამ გადაჭარბებით გაამართლა ლენინის ეს წინასწარმეტყველება“ (სტალინი, თხზ., ტ. 6, გვ. 92).

ლენინის პროგნოზები, მისი წინასწარმეტყველებანი ყოველთვის სრულდებოდა და სრულდება, რადგან ისინი სწორია, მეცნიერულია.

მოვლენათა დიალექტიკური ანალიზი, კლასობრივი ბრძოლის კანონების ღრმა ცოდნა აძლევდა შესაძლებლობას ლენინს წინასწარ განეჭვრიტა არა მარტო განვითარების პერსპექტივა, არამედ განვითარების ვადებიც კი. იმაში რაც სხვებისათვის მოულოდნელი იყო, ლენინი კანონზომიერებას ხედავდა. იმაში, რაშიც სხვები შეუძლებელს ხედავდნენ, ლენინი შესაძლებელს და აუცილებელს ხედავდა. ლენინმა, როგორც ამხანაგი სტალინი მიუთითებს, — იცოდა — „ნახტომი შეუცნობელში“, მას შეეძლო შეჭვრიტა საზოგადოებრივი განვითარების „საიდუმლოებაში“ და დაენახა განვითარების სრულიად კონკრეტული გზები, უკვე მომწიფებული გარდუვალი მოვლენები.

დიდი ოქტომბრის წინადღეებში, როცა ომით და შიმშილით განაწამები მუშები, გლეხები და ჯარისკაცები ზავს მოითხოვდნენ, დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა ომის ბოლომდე მისაყვანად და ეგრეთწოდებული „სოციალისტური პარტიები“ გაშმაგებით ებრძოდნენ ბოლშევიკებს, შტრაიკბრეხერები ზინოვიევი, კამენევი და მათი კომპანია გაჰკიოდნენ რუსეთში სოციალისტური რევოლუციის შეუძლებლობაზე, კერენსკის მთავრობა ბოლშევიკებს იატაკქვეშ ერეკებოდა, ევროპის „სოციალისტები“ მხარს უჭერდნენ საკუთარ ბურჟუაზიულ მთავრობებს იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის გაგრძელებაში და გერმანია-ავსტრიის ჯარები რუსეთის არმიის პირისპირ იდგა, — ამ წარმოუდგენლად ურთულეს პირობებში, ლენინი აკეთებს „ნახტომს შეუცნობელში“, იგი სახავს ახალ ღონისძიებას. ლენინი აცხადებს — დაუყოვნებლივ დაიწყოს შეიარაღებული აჯანყება. „—ეს ნიშნავდა ყველაფრის სასწორზე დადებას. მაგრამ ლენინს არ ეშინოდა რისკისა, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — ვინაიდან მან იცოდა, ის თავისი გამჭრიახი თვალით ხედავდა, რომ აჯანყება აუცილებელი იყო, რომ აჯანყება გაიმარჯვებდა, რომ აჯანყება რუსეთში მოამზადებდა იმპერიალისტური ომის აღსასრულს, რომ აჯანყება რუსეთში შეარხევდა დასავლეთის ტანჯულ მასებს, რომ აჯანყება რუსეთში იმპერიალისტურ ომს სამოქალაქო ომად გადააქცევდა, რომ აჯანყება მოგვცემდა საბჭოების რესპუბლიკას, რომ საბჭოების რესპუბლიკა გახდებოდა რევოლუციური მოძრაობის საყრდენი მთელ მსოფლიოში“ (სტალინი, თხზ., ტ. 6, გვ. 73).

ლენინმა ამ განჭვრეტის საფუძველზე მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება და კატეგორიული წერილი მისწერა ცენტრალური კომიტეტის წევრებს:

„ამ სტრიქონებს ვწერ 24-ს საღამოს, მდგომარეობა უაღრესად კრიზისულია... რადაც უნდა დაგვიჯდეს, დღეს საღამოს, ამაღამვე დავაპატიმროთ მთავრობა, განვაიარაღოთ (დავამარცხოთ თუ წინააღმდეგობა გაგვიწიეს) იუნკრები და ა. შ. არ შეიძლება ლოდინი!! შეიძლება ყველაფერი დავკარგოთ!!“ (თხზ., ტ. 26, გვ. 203).

და შემდეგ:

„ისტორია არ აპატიებს დაყოვნებას რევოლუციონერებს, რომელთაც შეეძლოთ გაემარჯვნათ დღეს (და დანამდვილებით გაიმარჯვებენ დღეს)“ (იქვე, გვ. 204).

მოვლენათა მსვლელობამ სავსებით გაამართლა ლენინის ეს უდიდესი სიზუსტით გაკეთებული მეცნიერული დასკვნა. აჯანყებამ გაიმარჯვა, დამყარდა საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც გახდა მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის დასაყრდენი.

იმპერიალიზმის ყოველმხრივ შესწავლის საფუძველზე ლენინმა აღმოაჩინა იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარების კანონი, რომლის საფუძველზე იწინასწარმეტყველა თავდაპირველად ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციისა და სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა.

ლენინის თეორიას თავდაპირველად ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი რევოლუციის გამარჯვებისათვის. ლენინის ამ ახალმა თეორიამ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს გაუნათა რევოლუციური ბრძოლის გზა, დაუსახა ნათელი, რეალური პერსპექტივა, ჩაუნერგა გამარჯვების რწმენა. რა მოხდებოდა, რომ ლენინს არ მოეცა ეს ახალი თეორია, არ განეჭვრიტა სოციალიზმის ერთ ქვეყანაში გამარჯვების შესაძლებლობა? ამ კითხვაზე ამხანაგი სტალინი უპასუხებს: „პარტია დაიბნეოდა წყვდიადში, პროლეტარული რევოლუცია ხელმძღვანელობას დაჰკარგავდა, მარქსისტული თეორია დაუძლურებას დაიწყებდა. წააგებდა პროლეტარიატი, მოიგებდნენ პროლეტარიატის მტრები“ (საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, გვ. 465).

ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით სავსებით დადასტურდა ლენინის წინასწარმეტყველება. საბჭოთა ხალხმა სოციალიზმი ააშენა ლენინის წინასწარდასახულობათა მიხედვით.

ლენინი ყოველთვის განსაკუთრებით მიუთითებდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საერთაშორისო მნიშვნელობაზე. ლენინი გვასწავლიდა, რომ ჩვენი მშენებლობა არის არა უბრალო სამეურნეო მშენებლობა, არამედ ეს არის „კომუნისტური მშენებლობა“, სრულიად ახალი საზოგადოების მშენებლობა, რასაც პირველად კაცობრიობის ისტორიაში ჩვენი ქვეყანა აწარმოებს. აქედან ცხადია, რომ ჩვენი სამეურნეო მშენებლობის გამოცდილებას ექნებოდა უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა, იგი გახ-

# ლ ე ნ ი ნ ი

მეზობელს ლამაზი ბიჭი ჰყავს პატარა,
მკვირცხლია, თან დაუზარები.
უცინის, უბრწყინავს ვარსკვლავის მაგვარად
ცისფერი, ჭკვიანი თვალები.

ალერსით არ შეხვდე, რა გაგაძლებინებს —
თვალწინ დგას მამულის იმედი,
ტუჩებს ვით ბროწეულს გახსნის და შეგცინებს
ცარციით კრიალა კბილებით.

ადრიან, როდესაც ჩემს ბანზე შევდგები
ის, როგორც ჭიკჭიკა ფრინველი,
შინ შემოფრინდება საყვარელ ლექსებით
და „დილას“ შემძახებს პირველი...

და მოხდა ჩვენ სახლში ასეთი ამბავი
ოცნებით ცას მისწვდა პატარა,
მას ბიძამ აჩუქა ლამაზი ანბანი
და ბიჭმა მეზობლებს გვახარა.

დრომ განვლო. დრომ განვლო და ასო ყოველი
თბილისის სტამბაში მოჭრილი,
ბეჯითმა, ჭკვიანმა და დაუდგრომელმა
ბიჭუნამ გახადა მორჩილი.

და ასოები ისე ვით ჩიტები
ჩამწკრივდნენ ოქროთი ფერილნი —
ბიჭუნამ რვეულზე სათუთი თითებით
პირველად დასწერა: ლ ე ნ ი ნ ი.

ლენინის სახელი ვით ბედნიერება
გაისმა, გადიდდა ნათელი,
თითქოს ფრთა შეისხეს საამო ბგერებმა,
გაიღო ოთახის სარკმელი;

გაფრინდა, გაფრინდა ბიჭუნას ამბავი
ჭიკჭიკით ქვეყანას ახარა:
— პატარა ქართველმა ისწავლა ანბანი,
ლენინი დასწერა პატარამ.

კრემლამდე მივიდა ბიჭუნას ამბავი,
მშობლიურ მთებს გადაფრენილი,
ღიმილით წამოდგა მშვიდობის სარდალი —
დღეს ჩვენთვის ვინც არის ლენინი.

**რევაზ მარგიანი**

# ვლადიმერ ლენინს

დასაბამიდან ამგვარად ხდება:

ადამიანი როდესაც კვდება,
ორი თარიღი დარჩება საფლავს, —
ერთი აღნიშნავს მის დაბადებას,
მეორე — მისი სიკვდილის ამბავს.

დასაბამიდან ამგვარად ხდება!

შენ კი... სიცოცხლის დიად თავდებად
ერთი თარიღი გარგუნა ბედმა,
რადგან სიკვდილი
შენს დაბადებას
ახლო დადგომას ვერ გაუბედავს!...

**ხუტა ბერულავა**

## ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში

უწყვეტ ნაკადად მოდიან ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის დასათვალიერებლად დედაქალაქის მშრომელები. ამ დღეებში განსაკუთრებით იმატა მუზეუმის დამთვალიერებელთა რიცხვმა. უკანასკნელი 10 დღის განმავლობაში მუზეუმი დაათვალიერა 130-მდე ექსკურსანტთა ჯგუფმა. დამთვალიერებელთა შორის იყვნენ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მუშები და მოსამსახურეები, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობები, ქალთა მე-5 და 35-ე საშუალო სკოლების მოსწავლეები, რესპუბლიკური პარტიული სკოლის მსმენელები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტის მუშაკები, სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკის, მე-6 სამკერვალო ფაბრიკის, ფაბრიკა „მკერავის“, ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის“ მუშა-მოსამსახურეები, ინჟინრები.

დამთვალიერებლებთან ეწყობა მიმოხილვითი ლექცია-საუბრები. მუზეუმის ლექტორები დ. მგელაძე, მ. ქურციკიძე, ლ. ბრეგაძე, ზ. აკუბჟანოვა, ვ. სემენკოვი ფართოდ აცნობენ ექსკურსანტებს ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.



**მოსკოვი. 1950 წლის საკავშირო სამხატვრო გამოფენა**
მხატვრების დ. ნალბანდიანის, ვ. ბასოვის, ნ. მეშჩანინოვის, ვ. პრიბილოვსკისა და მ. სუზდალცევის სურათი „ძალაუფლება საბჭოებს, მშვიდობა ხალხებს“.
საკდესის ფოტოქრონიკა

# მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

მასწავლებელი და მებაღე ერთ რამეში უთუოდ ჰგვანან ერთმანეთს. როგორც მებაღე ზრდის, უვლის და ფორმას აძლევს ნორჩ მცენარეს, ისე მასწავლებელი აყალიბებს, აფაქიზებს და აკეთილშობილებს ახალგაზრდა ადამიანის სულს.

ასე ხდება: სასურველ შედეგს აღწევს ის მებაღე, რომელიც მცენარეს ნოყიერ ნიადაგში რგავს და მისი ზრდა-განვითარებისათვის მეცადინეობას, აგრონომიული მეცნიერების გამოყენებას არ იშურებს; იმარჯვებს ის მასწავლებელი, რომელიც ახალგაზრდა ადამიანის სულის ფორმირებას სწორი მეთოდებით წარმართავს, მის გონებრივ სალაროს ნამდვილი მეცნიერებით ამდიდრებს.

ეს მეთოდია ლენინური მეთოდი, ეს მეცნიერება ლენინური მეცნიერებაა!

ლენინი!—ეს სიტყვა საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა გულში ჟღერს, როგორც სიხარულის, წინსვლისა და გამარჯვების მაუწყებელი. ეს სიტყვა ყველაზე მახლობელი, ძვირფასი და მშობლიურია ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის.

ლენინი! — ეს სიტყვა კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა ხვალინდელი დღის განთიადია, მათი იმედი და ნუგეშია.

ლენინი!—ჩვენი ბავშვები ენის ადგმისთანავე სწავლობენ ამ უძვირფასეს სიტყვას, ხოლო ბავშვის ცნობიერება როგორც კი აღიქვამს საგნებსა და მოვლენებს, იგი ლენინის იდეებს ეზიარება.

მშობელთა და მასწავლებელთა შთაგონებით ჩვენი ახალგაზრდები ადრევე რწმუნდებიან, რომ ლენინი რომ არა, ჩვენ არ გვექნებოდა ასე დიადი სამშობლო, ასეთი ბრწყინვალე აწმყო და მომავალი.

ბედნიერია ჩვენი მასწავლებლობა, რომელსაც წილად ხვდა დიდი პატივი —საბჭოთა ახალგაზრდობას განუმარტოს და ასწავლოს ლენინის იდეები, მისი სიდიადე, მისი უძლეველობა.

ასეთ ბედნიერ და სახელოვან მასწავლებელთა რიცხვი ჩვენში უთვალავია. აი თუნდაც ქუთაისელი ღვაწლმოსილი პედაგოგი ნინო ხათრიძე. 37 წლის წინათ ზუგდიდის მაზრაში—სოფელ დარჩელში—მან სრულიად ახალგაზრდამ გადასცა პირველი გაკვეთილი.

რამდენი სიფრთხილე იყო საჭირო, რომ ახალგაზრდა პედაგოგს აშკარად არ წამოცდენოდა ლენინის სახელი, აშკარად არ ექადაგა ლენინის იდეები. რამდენი ძალდატანება იყო თავის თავზე საჭირო, რომ ადამიანს გულში ჩაეკლა მართალი, ჭეშმარიტი აზრები, ელაპარაკა იმაზე, რაც არ გამომდინარეობდა მისი სულიდან! მაგრამ ნინო ხათრიძე, როგორც გამჭრიახი, ჭკვიანი და წინდახედული მასწავლებელი ყველაფერ ამას ითმენდა იმ იმედით, რომ ახლო მომავალში მას და მის კოლეგებს საშუალება ექნებოდათ საქვეყნოდ ელაპარაკათ ლენინზე, ლენინიზმზე.

აღსრულდა! გაიმარჯვა ლენინიზმმა. ლენინის მიერ მომზადებულმა დიდმა ოქტომბერმა სამუდამოდ წალეკა ძველი, ბურჟუაზიული წყობილება. გაიმარჯვა საბჭოთა წყობილებამ. საბჭოთა ადამიანები ამეტყველდნენ ისე, როგორც ფიქრობდნენ და აზროვნებდნენ. ნინო ხათრიძემაც თავისუფლად ამოისუნთქა. მან თავისი პედაგოგიური მოღვაწეობა დაათარიღა იმ დღით, როდესაც საბჭოთა სკოლაში გადასცა გაკვეთილი. იმ დღიდან მან თავი იგრძნო როგორც სრულუფლებიანმა აღმზრდელმა, თავისუფალმა მოქალაქემ.

იმ დღიდან მოკიდებული ნინო ხათრიძე დაუღალავად ემსახურება საბჭოთა ახალგაზრდობის ლენინურ-სტალინური სულისკვეთებით აღზრდის საპატიო საქმეს. რამდენიმე ათეული წლის მანძილზე მან ჩვენს სამშობლოს მრავალი სახელოვანი ადამიანი აღუზარდა. მისი აღზრდილებიდან ბევრია სახელმოხვეჭილი ინჟინერი, ექიმი, მწერალი, მეცნიერი, საბჭოთა არმიის მეთაური. ისინი არიან ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის თავდადებული ადამიანები, ჩვენი უძლეველი სამშობლოს ერთგული პატრიოტები.

საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდაში ნინო ხათრიძის დამსახურება ჩვენმა მთავრობამ ღირსეულად შეაფასა; ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის იგი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით. ამჟამად ნინო ხათრიძე დასახელებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

უმაგალითო გაქანებით და თანმიმდევრობით ხორციელდება უკვდავი ლენინის ბრძნული სიტყვები საბჭოთა მასწავლებელზე — სახალხო მასწავლებელი ჩვენში ისეთ სიმაღლეზე უნდა დავაყენოთ, რომელზეც იგი არასოდეს არ მდგარა, არ დგას და არც შეიძლება იდგეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

საბჭოთა ქვეყანაში მასწავლებელი კომუნიზმის ერთგული მშენებელია, იგი მონაწილეობას იღებს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, უფლებამოსილია აირჩიოს და არჩეულ იქნას. ამისი ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიმუშია ნინო ხათრიძის მაგალითი. ამიტომ არის, რომ ჩვენში ხანდაზმულებიც ახალგაზრდული ენერგიითა და გატაცებით მუშაობენ. 60 წელს მიღწეული ნინო ხათრიძე სრულებითაც არ გრძნობს დაღლას. იგი ქუთაისის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის ახალგაზრდებში კვლავ ნერგავს სამშობლოს პატრიოტიზმს, ლენინიზმის სულისკვეთებას. თაობიდან თაობას გადაეცემა დიდი ლენინის იდეები. ამ იდეებით სძლიეს საბჭოთა ადამიანებმა ყოველგვარ სიძნელეებს, ამავე იდეებით გაიმარჯვებენ ისინი მომავალში.

ლენინიზმი ცოცხლობს და დღეგრძელობს!

**ელ. უბილავა**

# ძვირფასი, მშობლიური სახე

დედა ღელავდა. უკვირდათ შვილებს — არაჩვეულებრივი თითქოს არაფერი იყო: დედა კრებაზე წასასვლელად ემზადებოდა. რამდენჯერ უმსჯელია მას კოლმეურნეებთან!

მიზეზი ციფრი იყო, რომელიც მას, ელენე თეგაშვილს, უნდა დაესახელებინა თანასოფლელთა წინაშე. მას უნდა ეკისრა ვალდებულება — შაქრის ჭარხლის მოსავლიანობას, გეგმასთან შედარებით, სამჯერ გავადიდებო. ელენე დარწმუნებული იყო, რომ ახალი ვალდებულების შესრულება თამამად შეიძლებოდა. მაგრამ ისიც იცოდა, თუ რა თავდადებული შრომა იყო ამისათვის საჭირო. ასეთ წუთებში მას არ შეეძლო დამშვიდებული ყოფილიყო. ამიტომ კრების წინ ცდილობდა წარმოედგინა ყველაფერი, თვით უბრალო წვრილმანიც კი, რაზეც დამოკიდებული იყო მომავალი გამარჯვება.

იმ სამახსოვრო კრების შემდეგ განვლო დაძაბული, ცხარე შრომის დღეებმა. სტალინირის რაიონის სოფელ თამარაშენის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჭარხლეს ელენე თეგაშვილს გამოუჩნდნენ მიმბაძველები. თამარაშენში მანამდე არავის ახსოვდა, რომ მიწისადმი, ნათესისადმი ამდენი მზრუნველობა გამოეჩინოთ. ელენე თეგაშვილი ყველას ყურადღებას იქცევდა თავდადებული შრომით. მას მხარს უმშვენებდა ანეტა გოგიძე. მეტად საინტერესო ხასიათი მიიღო ამ ორი კოლმეურნე ქალის ამხანაგურმა, სოციალისტურმა შეჯიბრებამ.

ორმოცდარვა წლის შემოდგომაზე, როცა შედეგები შეაჯამეს, აღმოჩნდა, რომ ელენე თეგაშვილს მისი რგოლისათვის მოსავლელად მიჩენილი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 802,7 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოეყვანა, ხოლო ანეტა გოგიძეს — 791,6 ცენტნერი.

ორმოცდაცხრა წლის მაისში, როცა საკოლმეურნეო მინდვრები სიცოცხლის გალვიძებას ზეიმობდნენ, როცა ელენე და ანეტა კვლავ პლანტაციებში იყვნენ და ახალი გეგმების განაღდებისათვის იბრძოდნენ, თამარაშენში მოვიდა ცნობა — ელენე თეგაშვილი და ანეტა გოგიძე შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მოყვანისათვის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით დაუჯილდოებიათო.

ადამიანის ცხოვრებაში ბევრ სასიხარულო მოვლენას ვხვდებით. მაგრამ ელენემ და ანეტამ მაშინ განსაკუთრებული სიხარული განიცადეს. უმაღლეს ჯილდოში თავიანთი შრომის მაღალ შეფასებასთან ერთად მათ დაინახეს ახალი მოვალეობა.

ლენინის ორდენი ბრწყინავს ქართველი დედის მკერდზე. ეს ფაქტი მოწმობს, თუ როგორ იზრდება საკოლმეურნეო სოფლის უბრალო ადამიანი, რა მაღალ შეფასებას იღებს რიგითი კოლმეურნის შრომა.

თავდადებული შრომით ლენინის ორდენი დაიმსახურა სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ იასონ ქრისტესიაშვილმა. როცა საამაყო ჯილდოს აბარებდნენ, მან პირობა დადო, რომ მომავალში უფრო ნაყოფიერი მუშაობით გაამართლებდა ამ დაფასებას. იბრძვის ლენინის ორდენით მკერდდამშვენებული კოლმეურნეობის თავმჯდომარე სოფლის მეურნეობის აღმავლობის სტალინური პროგრამის განხორციელების საქმეში თავისი წვლილის შესატანად. ერედველ კოლმეურნეებს შემოდგომის პურეული გეგმით 356 ჰექტარი უნდა დაეთესათ. შესაძლებლობანი მაქსიმალურად გამოიყენეს, და კოლმეურნეობამ პურეული 424 ჰექტარი დათესა.

ხილის უხვი მოსავლის მიღებით თავი ისახელა ზნაურის რაიონის სოფელ თორმანეულის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანმა მებაღე გრიგოლ ჯაგაევმა. მან ხილის იმდენი მოსავალი მოიყვანა, რამდენიც არავისა და არასოდეს მოუყვანია თორმანეულში. ამ წარმატების მოპოვებისათვის გ. ჯაგაევი ლენინის ორდენით დააჯილდოეს. შემდეგ თანასოფლელებმა ახალი ნდობა აღმოუჩინეს გრიგოლს, იგი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. მებაღეობის საქმეს კვლავ სერიოზულ ყურადღებას უთმობს გ. ჯაგაევი — შარშან თორმანეულელმა მებაღეებმა თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 45 ცენტნერის ნაცვლად 113 ცენტნერი ხილი მოიყვანეს.

ლენინგორის რაიონის სოფელ წირქოლის კოლმეურნეობა „შრომას“ საამაყო ადამიანები ჰყავს. ერთი პირველთაგანია ორგზის ლენინის ორდენოსანი ვასილ ხრიკული — შესანიშნავი მევენახე, ვაზის დიდი მზრუნველი და მეგობარი.

სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანის მხურვალე გულთან მოელვარე ორდენზე მოჩანს დიდი ლენინის სახე, საყვარელი, ძვირფასი, მშობლიური სახე. უმაღლესი ჯილდოს ელვარება ადამიანს ახალი შრომითი მამაცობისაკენ მოუწოდებს.

**ვლ. გელაშვილი**
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

---

დებოდა ნიმუში სხვა ქვეყნების პროლეტარიატისათვის.

ჯერ კიდევ სოციალისტური მშენებლობის პირველ წლებში ლენინი წინასწარმეტყველებდა: „თუ რუსეთი დაიფარება ელექტროსადგურებისა და მძლავრი ტექნიკური მოწყობილობების ხშირი ქსელით, მაშინ ჩვენი კომუნისტური სამეურნეო მშენებლობა გახდება ნიმუში მომავალი სოციალისტური ევროპისა და აზიისათვის“ (თხზ., ტ. 26, გვ. 48).

რა დიდებულად ასრულდა ლენინის ეს სიტყვები! ჩვენი კომუნისტური სამეურნეო მშენებლობა, სოციალისტური მშენებლობის გიგანტური გამოცდილება მართლაც ნიმუშია ევროპისა და აზიის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისათვის. ამ ქვეყნების ხალხები აშენებენ ახალ, სოციალისტურ ცხოვრებას ჩვენი დიადი საბჭოთა ქვეყნის გამოცდილების მიხედვით, მისი ძმური, მძლავრი მხარდაჭერით. ამას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სოციალიზმის გზით სწრაფი და წარმატებითი სვლისათვის. ამაშია ლენინის იდეების დიადი ძალა.

ლენინმა დაამუშავა საკითხი საზოგადოებრივი განვითარების ტემპის შესახებ და დაასაბუთა, რომ საზოგადოებრივი განვითარების სისწრაფეს, ისტორიული პროგრესის ტემპს განსაზღვრავს ხალხთა მასების აქტიური მონაწილეობა ისტორიულ პროცესში. ადამიანთა რაც უფრო მეტი რაოდენობა იღებს აქტიურ და შეგნებულ მონაწილეობას ისტორიულ პროცესში, მით უფრო სწრაფია განვითარება, მით უფრო სრული და ძლიერია საზოგადოებრივი პროგრესი. ამასთან დაკავშირებით ლენინმა გენიალურად იწინასწარმეტყველა, რომ სოციალიზმით დაიწყებოდა ისტორიის განვითარების უსწრაფესი პროცესი. ლენინი წერდა: „...ნამდვილად **მხოლოდ** სოციალიზმით დაიწყება სწრაფი, ნამდვილი, ნამდვილად მასობრივი, მოსახლეობის **უმრავლესობის** და შემდეგ მთელი მოსახლეობის მონაწილეობით წარმოებული მოძრაობა წინ საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ყველა დარგში“ (თხზ., ტ. XXI, გვ. 439).

ხდება სწორედ ისე, როგორც ლენინი ითვალისწინებდა. სოციალიზმის აშენების შედეგად არაჩვეულებრივად გაფართოვდა საზოგადოებრივი განვითარების პროცესის აქტიურ და შეგნებულ მონაწილეთა რიგები. სოციალიზმმა შექმნა ყველა პირობა ადამიანის უნარისა და ნიჭის სრულად გამოვლინებისათვის. სოციალისტურ საზოგადოებაში მშრომელთა უფართოესი ფენების მთელი უზარმაზარი ფიზიკური და ინტელექტუალური პოტენციური ენერგია გადაიქცა აქტიურ, ქმედით ენერგიად. ცნობილია, რომ სოციალისტური მშენებლობის მთელ მანძილზე არასოდეს არ ყოფილა სოციალისტური შეჯიბრება ისე სრული, ისე მასობრივი, მთელი ქვეყნის მომცველი, როგორც ახლა სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის პერიოდში.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ლენინის მიერ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმების საკითხის დამუშავებას, კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გარდამავალი პერიოდის პოლიტიკური ფორმების გარკვევას. ლენინმა რუსეთის ორი რევოლუციის გამოცდილების საფუძველზე გააკეთა დასკვნა, რომ პროლეტარიატის დიქტატურის საუკეთესო ფორმას, მუშათა კლასის სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის უმაღლეს ფორმას წარმოადგენს საბჭოების რესპუბლიკა.

ლენინის შორსმჭვრეტელი გონება წინასწარ ხედავდა, რომ სხვა ქვეყნებში შესაძლებელია პროლეტარულმა დიქტატურამ მიიღოს სხვა ფორმები, მაგრამ ამავე დროს ყველგან, ყველა ქვეყანაში კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა მოხდება მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის მეშვეობით, რომ, მაშასადამე, ძირითადი კანონზომიერება საერთოა ყველა ქვეყნისათვის. ლენინი წერდა: „კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლამ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ მოგვცეს პოლიტიკური ფორმების უდიდესი სიმრავლე და მრავალფეროვნება, მაგრამ ამასთან არსი უსათუოდ ერთი იქნება: **პროლეტარიატის დიქტატურა**“ (თხზ., ტ. XXI, გვ. 393).

ლენინის ეს გენიალური განჭვრეტაც სავსებით გამართლდა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მაგალითზე. სახალხო დემოკრატიის ქვეყნების რეჟიმი პროლეტარიატის დიქტატურის ფუნქციას ასრულებს, სახალხო დემოკრატიული წყობილება პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმაა.

ლენინი უდიდეს ყურადღებას აქცევდა კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ბრძოლას, იგი გამსჭვალული იყო აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა მომავალი განთავისუფლების ურღმესი რწმენით. ლენინი განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდა თვალს დიდი ჩინელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას და დარწმუნებული იყო, რომ ჩინეთის რევოლუცია თავისი შინაგანი ტენდენციით უძლეველია და მისი გამარჯვება აუცილებელი. ლენინი აღმოსავლეთის ხალხების შესახებ წინასწარმეტყველებდა, რომ „რა სუსტნიც უნდა იყვნენ ეს ხალხები, რა უძლეველადაც უნდა გვეჩვენებოდეს ევროპელ მჩაგვრელთა ძლიერება, რომლებიც ბრძოლაში იყენებენ ტექნიკისა და სამხედრო ხელოვნების ყველა საშუალებას, რევოლუციური ომი, რომელსაც ჩაგრული ხალხები ეწევიან, თუ ეს ომი შეძლებს ნამდვილად გააღვიძოს მილიონობით მშრომელნი და ექსპლოატირებულნი, შეიცავს ისეთ შესაძლებლობებს, ისეთ სასწაულებს, რომ აღმოსავლეთის ხალხთა განთავისუფლება ახლა პრაქტიკულად სავსებით განსახორციელებელია“ (თხზ., ტ. XXIV, გვ. 544).

უკანასკნელი დროის მოვლენებმა სავსებით გაამართლეს ლენინის ეს წინასწარმეტყველება. ამას მოწმობს იმპერიალისტთა სრული კრახი ჩინეთში და ჩინეთის სახალხო რევოლუციის გამარჯვება. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნა ლენინიზმის ახალი, დიადი ტრიუმფია.

ლენინს შეეძლო მოვლენები, ფაქტები, მომავალი პირობები დაენახა მათს ჩანასახში. ლენინს შეეძლო ახლად ჩასახული მოვლენა, რომელიც ჯერ არ განვითარებულა, არ გაშლილა, რომელსაც ჯერ არსებობის ისტორია არა აქვს, მოვლენა, რომელიც შეუმჩნეველია „ჩვეულებრივი თვალისათვის“, ერთბაშად შეემჩნია და დაენახა მასში მთელი მისი მომავალი განვითარება.

პირველ „კომუნისტურ შაბათობაში“, რომელიც 1919 წლის 17 მაისს მოეწყო მოსკოვ-ყაზანის რკინიგზაზე და რომელშიც მხოლოდ ასამდე კაცი იღებდა მონაწილეობას, ლენინმა დაინახა მთელი ახალი ეპოქის დასაწყისი, სრულიად ახალი მოვლენა, რომელიც გაიშლებოდა და განვითარდებოდა მეურნეობის, ცხოვრების ახალ პირობებად. ამ პირველ, ასე პატარა მასშტაბის „კომუნისტურ შაბათობაში“ ლენინმა დაინახა შრომისადმი ახალი სოციალისტური დამოკიდებულება, ახალი სოციალისტური შრომის დისციპლინის განვითარება.

ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის მაგალითზე სავსებით გამართლდა ლენინის განჭვრეტა. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა ქალაქად და სოფლად, მისი უმაღლესი ფორმის — სტახანოვური მოძრაობის წარმოშობა და განვითარება, შრომის ახალი, სოციალისტური დისციპლინის დამკვიდრება, ლენინის წინასწარმეტყველური სიტყვების დადასტურებაა.

ასე ბრწყინვალედ სრულდებოდა და სრულდება ლენინის მეცნიერული წინასწარმეტყველებანი.

ამჟამად ამერიკის იმპერიალიზმი, რომელიც სათავეში უდგას ყველა აგრესიულ და რეაქციულ ძალებს, მიისწრაფვის მსოფლიო ბატონობისაკენ, აფართოებს თავისი გავლენის სფეროებს, ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდება, ქმნის თავის დასაყრდენ ბაზებს, სურს სისხლში ჩაახრჩოს თავისუფლებისმოყვარე კორეელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, ყოველმხრივ ცდილობს გააჩაღოს მესამე მსოფლიო ომი. მაგრამ ისტორიის გამოცდილების საფუძველზე გაკეთებული ლენინის გენიალური პროგნოზი ამერიკის იმპერიალიზმის შესახებ გვეუბნება, რომ იგი მხოლოდ აჩქარებს თავის აუცილებელ დაღუპვას. ლენინი ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ წინასწარმეტყველურად ამბობდა:

„ჩვენ ვხედავთ, რომ ინგლისმა და ამერიკამ, იმ ქვეყნებმა, რომლებსაც სხვებზე უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ დემოკრატიულ რესპუბლიკებად დარჩენილიყვნენ, ისევე უცნაურად, უგუნურად შესტოპეს, როგორც ერთ დროს გერმანიამ, ამიტომ ისინი ისევე სწრაფად, შესაძლოა კი უფრო სწრაფადაც, უახლოვდებიან იმ დასასრულს, რომელსაც ასე წარმატებით მიაღწია გერმანიის იმპერიალიზმმა. ჯერ იგი არაჩვეულებრივ გაიბერა და ევროპის სამ მეოთხედზე გაიჭიმა, გასუქდა, მერმე კი იქვე გასკდა და უსაშინლესი სიმყრალე დატოვა, და ამ დასასრულისაკენ მიქრის ახლა ინგლისისა და ამერიკის იმპერიალიზმი“ (თხზ., ტ. XXIII, გვ. 266).

მსოფლიო ისტორიული განვითარების მთელი მსვლელობა ცხადყოფს, რომ კაპიტალისტური სისტემა უახლოვდება თავის აღსასრულს. ლენინი 1921 წელს ამბობდა: „კაპიტალიზმი იღუპება; თავისი დაღუპვის დროს მას კიდევ შეუძლია წარმოუდგენელი ტანჯვა მიაყენოს ასობით და ათასობით მილიონ ადამიანს, მაგრამ დაღუპვისაგან მისი ხსნა არავითარ ძალას არ შეუძლია. ახალი საზოგადოება, რომელიც დამყარებულ იქნება მუშათა და გლეხთა კავშირზე, გარდუვალია. ადრე თუ გვიან, ოცი წლით ადრე თუ ოცი წლით გვიან, იგი მოვა“ (თხზ., ტ. XXVII, გვ. 141).

საკმარისია თვალი გადავავლოთ კომუნისტური მოძრაობის გავრცელებას და არაჩვეულებრივად გაძლიერებას მთელ მსოფლიოში და აშკარა გახდება ლენინის მიერ კომუნიზმის უძლეველობის შესახებ ნათქვამი წინასწარმეტყველური სიტყვების ძალა.

„დაე ბურჟუაზია ბორგავდეს და ცოფს ჰყრიდეს, სანამ გონება არ დაუბნელდება... ბურჟუაზია ისე იქცევა, როგორც იქცეოდა ისტორიის მიერ დასაღუპავად განწირული ყველა კლასი... ყველა შემთხვევაში და ყველა ქვეყანაში კომუნიზმი იწრთობა და იზრდება; კომუნიზმის ფესვები ისე ღრმადაა, რომ დევნა მას კი ვერ ასუსტებს და აუძლურებს, არამედ აძლიერებს“ (თხზ., ტ. XXV, გვ. 236).

ვერავითარი სასოწარკვეთილი ღონისძიება კაპიტალიზმს ვერ იხსნის მოახლოებული დაღუპვისაგან. როგორც ამხანაგმა მოლოტოვმა განაცხადა, ახლა „ჩვენ ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, როცა ყველა გზას კომუნიზმისაკენ მივყავართ“.

ლენინიზმის დიადი იდეების გამარჯვება გარდუვალია მთელ მსოფლიოში.

**ვ. ესაიაშვილი**

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტში

**ნიუ-იორკი,** 18 იანვარი. (საკდესი). პოლიტიკური კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე გრძელდებოდა განხილვა ჩინეთის წინააღმდეგ ამერიკის ცილისწამებისა, რომელსაც ეწოდება „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის ინტერვენცია კორეაში“.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, წინა სხდომაზე პოლიტიკურმა კომიტეტმა მოიწონა ეგრეთწოდებული ხუთი პრინციპი, რომლებიც ჩამოყალიბებულია „სამთა კომისიის დამატებითი მოხსენებაში კორეაში ცეცხლის შეწყვეტის საკითხზე“, და ეს პრინციპები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მეშვეობით გაუგზავნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ სახალხო მთავრობას.

17 იანვარს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურმა სახალხო მთავრობამ თავისი პასუხი ამ პირობებზე ტელეგრაფით აცნობა კომიტეტს.

მას შემდეგ, რაც კომიტეტის თავმჯდომარემ გამოაქვეყნა ამ პასუხის ტექსტი, სიტყვა წარმოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ოსტინმა, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა ბრალად დაედო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისათვის, თითქოს მას არ სურს მიიღოს ღონისძიებანი კორეაში საომარი მოქმედების შესაწყვეტად. ოსტინის სიტყვა შეიცავდა შეურაცხყოფასა და მუქარას ჩინელი ხალხის მიმართ, აგრეთვე მწვავე გამოხდომას სსრ კავშირის წინააღმდეგ. ოსტინმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატების მთავრობა მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას იმოქმედოს „დაუყოვნებლივ და სწრაფად“ და დაჟინებით მოითხოვს მიღებულ იქნას ამერიკის შეერთებული შტატებისათვის სასურველი რეზოლუცია, რომელიც გმობს ჩინეთს.

მას შემდეგ, რაც სიტყვა წარმოთქვა საბერძნეთის წარმომადგენელმა, რომელიც მოუწოდებდა „არ დაეჯერდეთ მორალურ სანქციებს“ ჩინეთის წინააღმდეგ, გამოვიდა ავსტრალიის წარმომადგენელი, რომელმაც განაცხადა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის პასუხი მიუღებელია „ბევრი მიზეზის გამო“, მაგრამ არ დაუსახელებია არც ერთი ეს „მიზეზი“.

დასასრულ ავსტრალიის წარმომადგენელმა მოუწოდა კომიტეტს არ აჩქარდეს განსახილველ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებაში, ვინაიდან საჭიროა რამდენიმე დრო იმისათვის, რომ დელეგატებმა შეძლონ „ეთათბირონ ერთმანეთს და მიიღონ ინსტრუქციები თავიანთი მთავრობებისაგან“.

საფრანგეთის წარმომადგენელმა მოუწოდა კომიტეტს ნუ აჩქარდება რაიმე მოუფიქრებელი ღონისძიების მიღებაში, და განაცხადა, რომ „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უკიდურესობაში არ უნდა ჩავარდეს“.

ბელგიისა და ფილიპინების წარმომადგენლებმა ჩვეულებრივად გაილაშქრეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ. ინგლისის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჩინეთის მთავრობის პასუხი თითქოს იმას მოწმობს, რომ „შეუძლებელია“ შეთანხმების მიღწევა კორეაში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

თურქეთისა და პერუს წარმომადგენელთა, აგრეთვე გომინდანელის გამოსვლის შემდეგ, მოკლე განცხადება გააკეთა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ცარაპკინმა, რომელმაც აღნიშნა, რომ სსრ კავშირის დელეგაცია სავსებით უჭერს მხარს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წინადადებას, როგორც ისეთს, რომელიც მიმართულია კორეის საკითხის, აგრეთვე ყველა იმ საკითხის უსწრაფესი მშვიდობიანი მოწესრიგებისაკენ, რომლებიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და შორეულ აღმოსავლეთს ეხება. ამავე დროს საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციისა და სხდომაზე გამოსული სხვა დელეგაციების ვერავითარი ცდა მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს ვერ დაუმალავს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის 17 იანვრის წინადადებათა მშვიდობიან ხასიათს.

დასასრულ ცარაპკინმა თქვა, რომ საბჭოთა კავშირის დელეგაციას აგრეთვე საჭიროდ მიაჩნია ერთხელ კიდევ განაცხადოს, რომ დღის წესრიგის ეს საკითხი არ შეიძლება განხილულ იქნას კორეელი და ჩინელი ხალხების წარმომადგენელთა მონაწილეობის გარეშე.

## მშვიდობის მომხრეთა პირველი ყრილობა ჩეხოსლოვაკიაში

**პრაღა,** 19 იანვარი. (საკდესი). 20 იანვარს პრაღაში იხსნება მშვიდობის მომხრეთა პირველი ყრილობა ჩეხოსლოვაკიაში. ყრილობაში მონაწილეობას მიიღებს 1.500-მდე დელეგატი, რომლებიც აქ შეიკრიბებიან ჩეხოსლოვაკიის ყველა კუთხიდან. მათ შორის არიან კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები, სტახანოველები, ქალთა, ახალგაზრდობისა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პრაღის, ოსტრავის, ბრატისლავის, უსტის, კლადნოს და რესპუბლიკის სხვა ქალაქების საწარმოებში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. ბევრ ფაბრიკასა და ქარხანაში დამკვრელი ცვლები მოეწყო მშვიდობის მომხრეთა ყრილობის პატივსაცემად.

სადღესასწაულოდ ირთვება პრაღა. ყველგან გამოფენილია მშვიდობის დიდი მედროშის ი. ბ. სტალინის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტ კლემენტ გოტვალდის პორტრეტები. ბევრი პლაკატი და ლოზუნგი მოუწოდებს ჩეხოსლოვაკიის მშრომელებს უფრო განამტკიცონ რესპუბლიკის ძლიერება, განამტკიცონ მშვიდობისა და დემოკრატიის მძლავრი ბანაკი, რომელსაც სათავეში უდგას უძლეველი საბჭოთა კავშირი.

## სისხლისმღვრელი შეტაკებანი იტალიაში

**რომი,** 19 იანვარი. (საკდესი). გუშინდელი დემონსტრაციების დროს, რომლებიც მთელ იტალიაში მოეწყო გენერალ ეიზენჰაუერის ჩამოსვლის წინააღმდეგ და ომის პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, მრავალი სისხლისმღვრელი ინციდენტი მოხდა პოლიციის უხეში ჩარევის გამო. კერძოდ, სერიოზული შეტაკება მოხდა პიანა დე გრეჩში (პალერმოს პროვინცია). პოლიციის მიერ იტეხილი სროლის დროს დაიღუპა მოჯამაგირე ლო გრეკო. კომაკიოში კარაბინერებმა, რომლებიც ცდილობდნენ გაერეკათ დემონსტრაცია, ერთი მუშა მოკლეს. ადრანოში (კატანია), სადაც 17 იანვარს მოკლულ იქნა 19 წლის ჯიროლამო როზანო, 18 იანვარს დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის შეტაკების დროს დაიღუპა ერთი ქალი.

სან-ჩიპირელოში (პალერმო) დემონსტრაციის დროს დაიჭრა რამდენიმე კაცი, ზოგიერთი მძიმედ დაჭრილია. ქალაქ ენაში დაიჭრა 15 კაცი. სან-ჯოვანი-ინ ფიორეში (კოზენცა) პოლიციამ სროლა აუტეხა დემონსტრანტებს და რამდენიმე კაცი დაჭრა. რამდენიმე დემონსტრანტი დააპატიმრეს.

იტალიის ყველაზე დიდ დასახლებულ პუნქტებში 17 და 18 იანვარს გაიმართა დემონსტრაციები და საყოველთაო და ნაწილობრივი საპროტესტო გაფიცვები. 18 იანვარს საღამოს რომის მშრომელებმა მუშაობა შეწყვიტეს, რათა მონაწილეობა მიეღოთ საპროტესტო მიტინგში ეიზენჰაუერის ჩამოსვლის წინააღმდეგ. მიტინგზე, რომელსაც 50 ათასზე მეტი კაცი დაესწრო, სიტყვა წარმოთქვა იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა დი ვიტორიომ. ტრამვაის მოძრაობა შეწყვეტილი იყო 15 წუთით.

**რომი,** 19 იანვარი. (საკდესი). ანსას სააგენტო გადმოგვცემს: მთავრობის განკარგულების თანახმად როვიგოს პროვინციის პრეფექტმა თანამდებობიდან გადააყენა პინკარის თემის მერი იმისათვის, რომ მან მონაწილეობა მიიღო გენერალ ეიზენჰაუერის ჩამოსვლის წინააღმდეგ გამართულ საჯარო საპროტესტო დემონსტრაციებში.

## ლენინის დღეები უცხოეთში

### ბულგარეთი

**სოფია,** 19 იანვარი. (საკდესი). მთელ ბულგარეთში ენერგიულად ემზადებიან ლენინის დღეებისათვის.

საწარმოებში და შრომითს კოოპერაციულ სამიწათმოქმედო მეურნეობებში. იმართება კრებები, სადაც მოხსენებებს აკეთებენ ბოლშევიკური პარტიის დიდი შემქმნელისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებლის შესახებ, გამოდის კედლის გაზეთები, ეწყობა ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილი ფოტოვიტრინები და მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურის გამოფენები.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების 27-ე წლისთავთან დაკავშირებით გამოვიდა ვ. ი. ლენინის გენიალურ ნაწარმოებთა მრავალი ახალი გამოცემა, მათ შორის მისი „რჩეული ნაწარმოებნი“ ორ ტომად.

მიდიან რა დიდი ლენინის მიერ დასახული გზით, სოფიის, პლოვდივის, რუსეს და ბულგარეთის სხვა ქალაქების მუშები ახალ ვალდებულებებს კისრულობენ შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად, 1951 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე დასამთავრებლად, პირველი დიმიტროვული ხუთწლედის 4 წელიწადში შესასრულებლად.

ბულგარელმა ალპინისტებმა გადაწყვიტეს ბულგარეთის ყველაზე მაღალ მწვერვალზე — სტალინის პიკზე ასვლით აღნიშნონ ვ. ი. ლენინის ხსოვნა.

### ჩეხოსლოვაკია

**პრაღა,** 19 იანვარი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის მშრომელები აღნიშნავენ მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალური მასწავლებლის, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების 27-ე წლისთავს.

ფაბრიკებსა და ქარხნებში, სკოლებში, დაწესებულებებსა და ჯარის ნაწილებში ეწყობა მოხსენებები და საუბრები მშრომელთა უკვდავი ბელადის ვ. ი. ლენინის ცხოვრებაზე, საბჭოთა ხალხის წარმატებებზე, რომელიც ლენინის საქმის განმგრძობის — გენიალური სტალინის წინამძღოლობით მიდის წინ კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

ჩეხოსლოვაკიის ბევრი ქალაქის ეკრანებზე უჩვენებენ საბჭოთა ხალხის ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ საბჭოთა ფილმებს.

### ჰოლანდია

**ჰააგა,** 19 იანვარი. (საკდესი). ჰოლანდიის სხვადასხვა ქალაქში ეწყობა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი კრებები. გუშინ კრება გაიმართა ქალაქ დელფტში. მოხსენება გააკეთა კომუნისტური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ჰერარდ მაასმა, რომელმაც ილაპარაკა კაცობრიობის უდიდესი გენიოსის ცხოვრებისა და რევოლუციური ბრძოლის და მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის ლენინის მოძღვრების უდიდესი მნიშვნელობის შესახებ.

კრების შემდეგ დამსწრეთ უჩვენეს საბჭოთა კინოფილმები.

## ზეიმი გერმანელი ფაშისტი ოკუპანტებისაგან პოლონეთის ქალაქების განთავისუფლების მეექვსე წლისთავის გამო

**ვარშავა,** 20 იანვარი. (საკდესი). პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, რომ პოლონეთის ქალაქებში ზეიმი იმართება საბჭოთა არმიის მიერ გერმანელი ფაშისტი ოკუპანტებისაგან ამ ქალაქების განთავისუფლების მეექვსე წლისთავის გამო.

18 იანვარს კრაკოვის განთავისუფლების გამო სლოვაცკის სახელობის საქალაქო თეატრში საზეიმო სხდომა გაიმართა.

შეკრებილებმა დიდი აღფრთოვანებით გაუგზავნეს გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს დეპეშა, რომლითაც მადლობას უხდიან ჰიტლერული მონობისაგან მათი განთავისუფლებისათვის და პირობას აძლევენ, რომ განუხრელად განამტკიცებენ პოლონელი ხალხის მეგობრობას საბჭოთა ხალხთან.

დიდი ზეიმი გაიმართა ლოძში. ქალაქის მოსახლეობამ, მუშათა კოლექტივების, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გვირგვინებით შეამკეს ქალაქის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპულ საბჭოთა და პოლონელ ჯარისკაცთა საფლავები.

## კორეის ამბები

### კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი,** 19 იანვარი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 19 იანვარს გამოაქვეყნა ცნობა:

სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეთა ნაწილებთან ერთად ყველა ფრონტზე ძლიერ ავიწროებენ მოწინააღმდეგეს.

16 იანვარს სახალხო არმიის თვითმფრინავებმა ფხენიანის თავზე გაფთრებული საჰაერო ბრძოლა გაუმართეს მოწინააღმდეგის თვითმფრინავებს და ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის ერთი ბომბდამშენი. მოწინააღმდეგის დანარჩენი თვითმფრინავები უკუქცეულ იქნენ.

## ამერიკელთა და ლისინმანელთა მხეცობა სეულში

**პეკინი,** 19 იანვარი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი ფხენიანიდან გადმოგვცემს, კორეის ცენტრალურმა დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ არასრული მონაცემებით, ამერიკელებმა და ლისინმანელებმა სეულის სამი თვის ოკუპაციის დროს დახოცეს ამ ქალაქის სამოქალაქო მოსახლეობის 28 ათასზე მეტი კაცი.

ერთი ქალი, რომელსაც ახალშობილი ბავშვი ჰყავდა, ოკუპანტებმა მხეცურად აწამეს იმიტომ, რომ იგი ტანსაცმელს კერავდა კორეის სახალხო არმიისათვის. ბავშვის დაბადების 12 დღის შემდეგ ოკუპანტებმა ეს ქალი ქუჩაში გამოათრიეს და მოკლეს, ბავშვი კი დედის გვამთან გაიყვანა.

სეულის მცხოვრებნი, რომლებიც სიკვდილს გადარჩნენ, მოგვითხრობენ, თუ რა საშინელი მხეცობა ჩაიდინა მტერმა. სასაუზმის დიასახლისმა პაკ ჩუნ კიმ განაცხადა: 28 დეკემბერს დავინახე, რომ ამერიკელ ოფიცერთა ბრძანებით ლისინმანელმა ჯარისკაცებმა გაზოლინი გადაასხეს 10 პატრიოტს და შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს მდინარე ხანგანის ნაპირას. ამ ბოროტმოქმედების მეორე მოწმემ ილაპარაკა, რომ 200-300 მცხოვრებისაგან შემდგარი ჯგუფი შერეკეს მდინარე ხანგანში და დაახრჩეს. ამ ჯგუფში ბევრი ბავშვი იყო.

## ვიეტნამის სახალხო არმიის წარმატებანი

**პრაღა,** 19 იანვარი. (საკდესი). როგორც ტელეპრესის სააგენტოს კორესპონდენტი რანგუნიდან გადმოგვცემს, ვიეტნამის ჩრდილოეთ ნაწილში წითელი მდინარის დელტის რაიონში გააფთრებული ბრძოლის შესახებ პირველ საჯარო ცნობებში ნათქვამია, რომ დაეცა ფრანგთა ძლიერ გამაგრებული პოზიცია ბაო-ფუკი, რომელიც კონტროლს უწევდა ჩრდილოეთ ვიეტნამის შუა ნაწილის ყველა კომუნიკაციას და იფარავდა ამ გამაგრებული პუნქტის სამხრეთით 15 კილომეტრზე მდებარე ვინ-იენს. ვიეტნამის სახალხო არმიის კომუნიკეში ნათქვამია, რომ ამ ბრძოლაში მტრის ჯარებს გამანადგურებელი დარტყმა და მძიმე ზარალი მიაყენეს.

ვიეტნამის სახალხო არმიის შტაბის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ დღეებში ვიეტნამის ჩრდილოეთ ნაწილში მოპოვებულ გამარჯვებას მოჰყვება მთელი რიგი სხვა დიდი გამარჯვებანი წითელი მდინარის დელტაში.

ვიეტნამის სახალხო არმიის მთავარსარდალმა გენერალმა ვო ნგუენ ზიაპმა ვიეტნამის სახალხო არმიის ნაწილებისათვის გაგზავნილ მისალოც დეპეშაში აღნიშნა ამ გამარჯვებათა დიდი მნიშვნელობა, რომლებიც უწინარეს ყოვლისა მოწმობენ, რომ შესაძლებელია მანევრული ომის წარმოება გაშლილ ადგილას.

პუნქტი ბაო-ფუკი დაკავებულ იქნა 12 საათის გააფთრებული ბრძოლის შედეგად, რომლის დროსაც მოკლულ და დაჭრილია 200 ფრანგი. გარნიზონის ყველა ოფიცერი წამოყვანილია ტყვედ. წამოღებულია აგრეთვე მთელი საჭურველი.

ამავე დროს ვიეტნამის ჯარებმა თითქმის მთლიანად მოსპეს ფრანგთა მაშველი ჯარების კოლონა ვინ-იენის ჩრდილო-დასავლეთით. იგი შედგებოდა აფრიკელთა სამი ბატალიონისა და აზიელთა ერთი ბატალიონისაგან.

სახალხო არმიის ნაწილებმა გაანადგურეს ფრანგთა სხვა კოლონა, რომელიც ვინ-იენიდან მიდიოდა, და მძიმე ზარალი მიაყენეს კიდევ ფუკ-იენიდან მიმავალ ფრანგთა მაშველი ჯარების ათასი კაცისაგან შემდგარ ორ კოლონას. ტყვედ წამოყვანილია ბევრი ფრანგი ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის ერთი კაპიტანი. წამოღებულია დიდძალი იარაღი.

ფრანგთა სარდლობა მაღალ შეფასებას აძლევს სახალხო არმიის ქვეითი ჯარის ნაწილების დიდ მობილობას და კარგ თანამოქმედებას ძლიერ დასერილი ადგილის პირობებში წარმოებული ოპერაციების დროს.

## ამერიკელები ფრანგ იმპერიალისტებს ეხმარებიან ვიეტნამში

**პარიზი,** 19 იანვარი. (საკდესი). გაზეთ „ორორ-ფრანს ლიბრის“ კორესპონდენტი იუწყება, რომ „საფრანგეთის კავშირის ჯარები ინდო-ჩინეთში ყოველდღე სულ უფრო მეტი რაოდენობით იღებენ ამერიკულ სამხედრო მასალასა და საჭურველს, კერძოდ მსუბუქ ტანკებს. როგორც ამერიკის საიგონის სამხედრო მისიის ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, ამერიკა ამ დახმარებას მომავალში უფრო სწრაფი ტემპით გაუწევს ფრანგ იმპერიალისტებს“.

შემდეგ გაზეთი, იმოწმებს რა საფრანგეთის სამხედრო სარდლობის ოფიციალურ ცნობებს, აღნიშნავს, რომ ვიეტნამში უკანასკნელი ბრძოლების დროს საფრანგეთის თვითმფრინავები იმავე ტიპის ფუგასურ და ცეცხლგამჩენ ბომბებს ჰყრიდნენ, როგორსაც ამერიკის ავიაცია იყენებს კორეაში.

## ჩერჩილისა და გერმანიის არმიის ყოფილი გენერლების კონტაქტი

**სტოკჰოლმი,** 20 იანვარი. (საკდესი). გაზეთი „ნიუ დაგი“ სათაურით „ჩერჩილი გერმანიის არმიის ყოფილ გენერლებთან ამერიკის კონტაქტის დამამყარებელია“ აქვეყნებს თავისი ლონდონელი კორესპონდენტის ცნობას, რომელშიც ნათქვამია:

„ახლა ცნობილია, რომ ჩერჩილს კონტაქტი აქვს დამყარებული გერმანელ გენერლებთან გუდერიანთან, შპაიდელთან, კაიზერთან, შვერინთან და მანტეიფელთან, აგრეთვე ადმირალ ჰანზენთან, რომელიც „გერმანიის არმიის ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა კავშირის“ ხელმძღვანელია. ზოგიერთ მათგანთან ჩერჩილს პირადი ურთიერთობა აქვს.

ჩერჩილმა ეს ურთიერთობა დაამყარა ამერიკელებთან შეთანხმებით, რომლებმაც მას დაავალეს დასავლეთ გერმანიის პოლიტიკური და სამხედრო წრეების „იდეოლოგიური დამუშავება“...

ჩერჩილი მუდამ ატყობინებს გერმანელ გენერლებს დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის შესახებ სამი დასავლეთი სახელმწიფოს მოლაპარაკების მიმდინარეობას და აუწყებს „რეკომენდაციებს“, რომლებიც დასავლეთ გერმანიის არმიის შექმნას შეეხება...“

## ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორები დასავლეთ ევროპის ქვეყნებში

**პარიზი,** 19 იანვარი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო, ემყარება რა ინფორმირებულ წრეებში მიღებულ ცნობებს, გადმოგვცემს, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნების შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბების უფროსებმა მოიწონეს „სამოკავშირეთაშორისო საომარი მზადების“ პროგრამა.

ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა მონაწილეობას მიიღებენ ამ პროგრამის განხორციელებაში, მოამზადებენ ოფიცერთა და უმცროს ოფიცერთა მრავალრიცხოვან კადრებს როგორც შეერთებულ შტატებში, ისე გერმანიის ოკუპაციის ამერიკულ ზონაში; გათვალისწინებულია წელს ატლანტიკის კავშირის ქვეყნებში მრავალი ამერიკელი ინსტრუქტორის გაგზავნა.

## მშენებლობანი ბაღდადის კოლმეურნეობაში

**მახარაძე.** (საკ. კორ.). სოფელ ბაღდადის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მძლავრი კოლმეურნეობაა მახარაძის რაიონში.

1950 სამეურნეო წელს ამ კოლმეურნეობის შემოსავალმა 2.900.000 მანეთს გადააჭარბა. ამის გამო კოლმეურნეობას საკმაოდ მძლავრი განუყოფელი ფონდი აქვს. აქ ყოველწლიურად ახალ შენობებს აგებენ, კეთილმოწყობილსა და კულტურულს ხდიან სოფლის ცენტრს.

მარტო 1950 წლის მანძილზე ააგეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს საკოლმეურნეო აბანო, დაწყებითი სკოლის 6-ოთახიანი შენობა, 160 სული პირუტყვის ტევადობის ბოსელი. მიმდინარეობს კოლმეურნეობის კანტორის რეკონსტრუქცია, რის შედეგად ამჟამად არსებულ შენობას შეემატება 8 ოთახი.

## გიორგი კოშაძის სამი რეკორდი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყო სპორტის ოსტატის ძალოსან გიორგი კოშაძის გამოსვლა რეკორდების დასამყარებლად. მან ნახევრადმძიმე წონაში ორი ხელით აწია 105 კილოგრამი, ორი ხელით აკრა 132 კილოგრამი და 650 გრამი, სამჭიდის საერთო ჯამში უჩვენა 337 კილოგრამი და 500 გრამი. ამით მან დაამყარა სამი რეკორდი ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „მეცნიერებას“ ცენტრალური საბჭოს ხაზით.

აღნიშნული რეკორდები გიორგი კოშაძემ მიუძღვნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებსა და საბჭოთა საქართველოს XXX წლისთავს.

## დედაქალაქის ქრონიკა

★ **დაიწყო კარლ მარქსის სახელობის ხიდის** საყრდენის კაპიტალური შეკეთება. საყრდენი მოპირკეთებული იქნება ბაზალტით.

★ **ლენინის ქუჩაზე № 2** გაიხსნა ახალი საჩვენებელი რესტორანი „გემო“. რესტორანში დიდი ასორტიმენტით მზადდება ქართული და სხვა კერძები. რესტორანს აქვს კეთილმოწყობილი სასადილო კაბინეტები. კერძები მზადდება კვალიფიციური კულინარის ხელმძღვანელობით.

★ **23 იანვარს, საღამოს 8 საათზე,** საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის აუდიტორიაში (ფურცელაძის ქ. № 1) აწყობს საზოგადოების ნამდვილი წევრის, დოცენტ დ. კალანდაძის საჯარო ლექციას თემაზე: „კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი სტალინური ბლოკი“. დასწრება თავისუფალია.

★ **24 იანვარს, საღამოს 8 საათზე,** საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის აუდიტორიაში აწყობს საზოგადოების ნამდვილი წევრის პროფესორ რ. ნათაძის ლექციას თემაზე: „ძილი და სიზმარი“. ბილეთების შეძენა შეიძლება ლექციის დღეს სალაროში.

## ლექცია

**24 იანვარს, საღამოს 6 საათზე,** საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის პარტკაბინეტში (შაუმიანის ქ. № 3) შედგება ამხ. ხულეიმანის ლექცია თემაზე: „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.

**„კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა ორშაბათს, 22 იანვარს.**

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

## საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1571 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

**22 იანვარს**

12.15 — პიონერთა დაფიონი. 13.20 — საქართველოს რადიოკომიტეტის კაპელის კონცერტი. 13.50 — ქართული ხალხური ლექსები ლენინზე. 17.15 — რუსული ხალხური სიმღერები. 18.00 — ლექსები და სიმღერები ვლადიმერ ილიას-ძე ლენინზე. 18.20 — ქართული სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 19.15 — ჩაიკოვსკის მეექვსე სიმფონია. 20.30 — რახმანინოვის ელეგიური ტრიო. 20.45 — საოპერო მუსიკის კონცერტი. 21.10 — საუბარი: „ლენინი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია“. 21.40 — პოგოდინის პიესის „თოფიანი კაცის“ რადიომონტაჟი.

## დღეს თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — „ჯამბაზები“ (დილით, დ. დონატოვის მონაწილეობით), „ლაურენსია“ (საღამოს, 7 საათზე, ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით); **მარჯანიშვილის სახელობის**—„მეთორმეტე ღამე“ (დილით), „სანაპიროზე“ (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის**—„ორი ბანაკი“ (დილით), „დაკარგული სახლი“ (საღამოს, მე-17 აბ.); **სომხური დრამის** — „ფაქიზი გრძნობები“ (დილას და საღამოს); **მუსიკალური კომედიის**—„ნათელა“ (დილით), „სიმღერა სიყვარულზე“ (საღამოს); **ხანკულტურის** — „ორი ბედნიერება“; **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—„ნათელი გზა“ (22-ე აბ. 12 საათზე), „გამოქცევა“ (34-ე აბ. 8 საათზე); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „ორი ბატონის მსახური“ (34-ე აბ. 10 საათზე, 41-ე აბ. 2 საათზე), „ესპანელები“ (8 საათზე).

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი** აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 6 თებერვალს, დღის 3 საათზე, ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 10) **ელენე ნიკოლოზის ასული წვერავა** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„К вопросу о причине смерти при странгуляционной кишечной непроходимости“.**

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი **ვ. ჟორდანია**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი **ვლ. ახათიანი**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **ე. ფიფია.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომას სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

## დღეს კინოებში

**რუსთაველის სახელობის**—„ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი“ (დღისით), „მახე“ (საღამოს); **„ხაარტაკი“, „კოლხიდა“**—„მახე“; **„თბილისი“**—„ახალგაზრდა გვარდია“ (I და II სერია); **„ამირანი“**—„ლენინი ოქტომბერში“ (დღისით), „მახე“ (საღამოს); **„ოქტომბერი“**—„ფიცი“ (დღისით), „მახე“ (საღამოს); **„კომკავშირელი“**—„ვიბორგის მხარე“; **26 კომისრის სახელობის**—„მახე“ (პირველი დარბაზი), „თოფიანი კაცი“ (მეორე დარბაზი); **„იხანი“**—„მახე“ (დღისით), „ლენინი 1918 წელს“ (საღამოს); **„კოლმეურნე“**—„გიორგი სააკაძე“.

მოქალაქე **მიხეილ გიორგის-ძე დავითაშვილმა,** მცხოვრებმა არდონის ქ. № 58, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **მზია გიორგის ასულ ყანჩაველთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ნინო პეტრეს ასულმა მაცაბერიძემ,** მცხოვრებმა ქებურიას ქ. № 50, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ნიკოლოზ ხერგოს-ძე მაცაბერიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლო.

თ. ლამბაშიძე, ლ. აბაშიძე, მ. გაჩეჩილაძე, ქ. გომელაური, ე. მღებრიშვილი, ქ. ბარძიმაშვილი, მ. ბერძნიშვილი, ო. ინაშვილი, რ. ჩხეიძე, რ. ბექანიშვილი, ტ. უსტიაშვილი, ა. ნადარეიშვილი, ა. ხავთასი თანაგრძნობას უცხადებენ ვ. ბააკაშვილს მისი მამის **ტრიფონ გრიგოლის-ძე ბააკაშვილის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან **ტრიფონ გრიგოლის-ძე ბააკაშვილის** გარდაცვალებას.

სიმამრი ლადიმე, სიდედრი ივდითი, ცოლისძმები სანდრო, ნიტიფო თოიძეები, ცოლისდა ვ. ადეიშვილი ოჯახებით, ქვისლები გ. არობელიძე, ბ. გოგუა, ქ. მაჩაიძე ოჯახებით იუწყებიან **დიომიდე ფილიპეს-ძე კობალავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-I მახარაძეში, კალინინის, 15.

მეუღლე გიორგი, შვილები ვალიკო, შალვა, კონსტანტინე, ნინო, ოლია, მარო, რძალი ტატიანა, სიძე დ. ბუხრაშვილი შვილებით იუწყებიან **ბაბუხი მიქაშავიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-I ზესტაფონში, ნინოშვილის, 47.

და ქენია, სიძე სოლომონ, დისწულები ნორა, გიორგი, ტოტო ბოლქვაძეები, სიძე სოსო შენგელია, რძალი თინა შვილებით, ნანა, მარინე ჯიქიები იუწყებიან **აპოლონ გაბრიელის-ძე ჯიქიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა ზუგდიდში.

გ. ფირცხალავა, შ. გაგოშიძე, ა. კოკილაშვილი, პ. კობრეიძე, ი. მესხიშვილი, ვ. ჯალაღონია, ე. ჯაფარიძე, ო. იოსელიანი, ს. ხარაზიშვილი, დ. მელუხა, გ. ტატიშვილი, ლ. ხომერიკი, ი. უგულავა, შ. ამისულაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ქ. ჯობიძეს **დომენტი მიხეილის-ძე ჯობიძის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ნადია, ძმები ნიკო, პანტელეიმონ, და კატო, რძალი ნუცა შვილებით, ბიძა ელიზბარ, ბიძაშვილები დათიკო, ვანო, კოტე, გიორგი, ანიკო, მარო, ნინო, ზინა იუწყებიან **დომენტი მიხეილის-ძე ჯობიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-I ნახახულევში (წულუკიძის რ.).

ნინო, ქორა, ნორა კანდელაკები, ოლია კობალაძე, ქეთო, ვლადიმერ სულაქველიძეები, ტასო, ნიკოლოზ თოფურიძეები იუწყებიან სიძის **დავით ვლადიმერის-ძე ავალიანის** გარდაცვალებას.

ძმა ილია, და ელენე, რძალი ლუბა, ძმისწული ანიკო შვილით მანანათი შენგელიები იუწყებიან **ოლღა დიმიტრის ასულ შენგელია-რუხაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-I დინარქვიტირში (წულუკიძის რ.).

ნინო, თამარ, საშა, ნიკო, მარიამ და ქეთო ბურთიკაშვილები იუწყებიან **ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ლაფაურის** გარდაცვალებას. გამოსვენება 21-I, 4 ს. არაგვისპირელის, 32.

ქალაქ თბილისის განათლების განყოფილების თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ რ. ჩხეტიანს მისი მამის **გრიგოლ ფირანის-ძე ჩხეტიანის** გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 21-I ცაგერში.

მეუღლე დავით, შვილი რუდო იუწყებიან **გოარა დავითის ასულ მსხილაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22-I, 8 ს. გამოსვენება 23-I, 5 ს. თუნის ქ. (გონჩარნაია) 58.

ყაზბეგის ქუჩის № 14/24 სახლში მცხოვრები მეზობლები იუწყებიან **ივანე ახათიანის** გარდაცვალებას.

საჩვენებელი რესტორანი „სალხინოს“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მ. გოგრიჭიანს მისი მამის **ვიქტორ სიმონის-ძე გოგრიჭიანის** გარდაცვალების გამო.

ძმები პავლე, შალვა, და ნინო, რძალი ნინო ხუნდაძე, ძმისწული გურამ იუწყებიან **პროკოფი ფირანის-ძე კალანდაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22-I, 7½ ს. გამოსვენება 23-I, 4½ ს. პასტერის, 2.

მეუღლე ნიფიდორა, შვილები გერონტი, ნადია, რძალი თამარ, სიძე კირილე, შვილიშვილები ავთანდილ, თემურ, ზურაბ, ალბერტ, დოდო, დემური იუწყებიან **ილარიონ ბესარიონის-ძე ნამიჩეიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-I ზედა ვანში (ვანის რ.).

მშობლები ელენე ჩარკვიანი, აკაკი ლეკიშვილი, ძმა იური იუწყებიან, რომ 21-I, 3 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ზაური აკაკის-ძე ლეკიშვილის** პანაშვიდი.

ა. სტურუა, ს. მალაციძე, ა. ტიბუხიანი, მ. კომახიძე, შ. კობიძე, ნ. არუთინოვი, გ. არაბიძე, ნ. ზაღიევა, ტ. ტიტოვა, მ. ბეზგოტკო თანაგრძნობას უცხადებენ ი. ბარაბაძეს მისი დედის **თეოლინე გიორგის ასულ ბარაბაძის** გარდაცვალების გამო.

გ. მითაგვარია, ბ. მითაგვარია, შ. კვინიხიძე, ბ. მაკალათია, გ. გაგუა, ა. ხარბედია, გ. ანდღულაძე, ს. მამალაძე, ქ. სტეფანიდი, ი. გოგია, ლ. ცხომელიძე თანაგრძნობას უცხადებენ ჰყონიების ოჯახს **ელენე ნესტორის ასულ ინალიშვილი-ჰყონიას** გარდაცვალების გამო.

ნ. სოლოვიოვი, ნ. სარალიძე, მ. საყვარელიძე, ფ. ამონაშვილი, მ. მჭედლიშვილი, ს. იმერლიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ეკატერინეს და ვალერიას მათი დედის **ანიკო ჩალათაშვილის** გარდაცვალების გამო.

პ. გოლეთიანი, გ. გორდელაძე, ი. ხუციშვილი, გ. ციცქიშვილი, გ. იაშვილი, ე. ტოროტაძე, გრ. შავიშვილი, ბ. გორდეზიანი, ი. გავაშელიშვილი, ნ. კაკუშაძე თანაგრძნობას უცხადებენ ი. ჯაფოშვილს **ზაქარია ლუკას-ძე მოსულიშვილის** გარდაცვალების გამო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიადაგმცოდნეობის კათედრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ე. ნ. ჩალათაშვილს მისი დედის **ანა დავითის ასულ ჩალათაშვილის** გარდაცვალების გამო.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის VI კურსის I ჯგუფის სტუდენტები თანაგრძნობას უცხადებენ ვ. ბოკერიას მისი ძმის **შოთას** გარდაცვალების გამო.

ზუბოვი, თოროზოვა, მიკირტუმოვა, ქვარიანი, სვანიშვილი, ოდიშელიძე, მართაშვილი, ამაშუკელი, მეფარიძე, ფიჩხაძე, კიკვაძე, ჩომახიძე თანაგრძნობას უცხადებენ გ. ფრანგიშვილს მისი დედის **სოფიოს** გარდაცვალების გამო.

შვილი ეკატერინე, შვილიშვილები მაყვალა და ოთარ ასანიშვილები, სიძე ნიკანდრო გაბუნია მეუღლით ოლიათი იუწყებიან **ელენე ნიკოლოზის ასულ გიორგაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 21-I, 3 ს.

ა. მოსულიშვილი, ივანე და ნინო ჯაფოშვილები, ნინო, გივი ნინოშვილები, ლიზა მოსულიშვილი და ნიკოლოზ ბეინაცვი იუწყებიან **ზაქარია ლუკას-ძე მოსულიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 21-I, 3 ს.

აბასთუმნის საკურორტო სამმართველოს სანატორიუმ „არაზინდოს“ ადმინისტრაცია, პარტორგანიზაცია და პროფორგანიზაცია იუწყებიან გ. ნამიჩეიშვილის მამის **ილარიონის** გარდაცვალებას.

თბილისის 26 კომისრის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატები და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ თ. ხატიაშვილს მისი დედის **მარიამის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ნინო, შვილები ციალა, ნოდარ, სიძე რ. დოლიძე, შვილიშვილი თეიმურაზ, ქსენია, მარო, დათიკო იმნაძეები ოჯახით იუწყებიან **პროკოფი ფირანის-ძე კალანდაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22-I, 7½ ს. გამოსვენება 23-I, 4½ ს. პასტერის, 2.

ბიძები გრიგოლ, ბენო, ევტიხი, ბიცოლა საშურა, ბიძაშვილები მიტო, ქორა, ნინო, თინა, გივი, რძლები თამარ, ნინო ბერაძეები, სიძე გ. აგულაშვილი იუწყებიან **ტატიანა შარაშენიძე-ხუროშვილის** გარდაცვალებას.

ნინო, ლია, გრიშა და ლეო ღვალები იუწყებიან **დავით ვლადიმერის-ძე ავალიანის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურისა და ყოფა-ცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უდ 01214